


708 /
1382/4



61



ԺԱՅՆԱՆ ԲՂԵՄՆԵՐ


საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



საქართველოს
ისტორიის
და კულტურის
ძეგლთა დაცვის
საზოგადოება



დარჯანის სახლზე „საჩინო“.

Дворец Дарья «Сачинно».

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



ქველეს ქუთხარა

ქართული საბჭოთაო ენციკლოპედია

შ O ე ა ა რ ს ი

ქველთაძველ ქველებს — ახალი მხეტვარე სივოცხლე	5
ირაკლი სიმიშვილი — თბილისის ქველი უბნების კომპლექსური რეკონსტრუქციის წოგიერთი საქოთხი	10
ნოშაკ მგალობლიშვილი — ქუჩების რეკონსტრუქცია თბილისის ქველ უბნებში	14
თენგიზ კვიციანი — თბილისის ბატონის მოედნის ლოკალიზაციისათვის ბარბელ კიპაროძე — წოგიერთი საქოთხი თბილისის დედაციხის სარესტავრაციო სა- მუშოების შესახებ	26
ირინე ქაიკოძე — სიონის ტაძრის მოხატულობა XIX საუკუნის შუა წლებში	45
ნინო ბარბაქაძე — 1981 წელს თბილისში აღმოჩენილი მონეტები	51
კ. შონიძე — მცენერის ხსოვნას	56
უზუნე ნიკიშვილი — კულტურის ქველთა დაცვ. ოთოველი მოქალაქის ღვილი საქმეა	58
ანტონ ბალახაშვილი შეტი ურთადლება ადიგენის რაიონის მატერიალური კულტურის ქველებს	61
ნანა ღოხიშვილი — ჩვენი უფროსი მეგობარი	63
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	65-79

СОДЕРЖАНИЕ

На совещание работников культуры южной Грузии	5
И. Цицишвили — Некоторые вопросы комплексной реконструкции стар- ых районов города Тбилиси	10
Н. Мгалоблишвили — Реконструкция улиц в старых кварталах г. Тбилиси	16
Т. Квиციани — К локализации Царской площади («Батонис мздანი») в Тбилиси	26
Т. Кипаридзе — Некоторые вопросы о реставрационных работах Тби- лисского дедахи	35
И. Дауцова — Роспись Тбилисского Сионского собора середины XIX века	45
Н. Бердзенишвили — Монеты найденные в Тбилиси в 1981 году	51
К памяти Илья Владимировича Адамии	56
У. Чиквалидзе — Защита памятников культуры долг каждого гражданина	58
А. Балахашвили — Больше внимания памятникам культуры Адигенского района	61
Н. Дохтуришвили — Наш старший друг	63
Аннотации на русском и английском языках	65—70

ისტორიული ძეგლებისადმი ინტერესი ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკაში ნიდაგა იზრდება. ამ ბოლო წლებში „კულტურული ტურიზმის“ ცნებაც კი გაჩნდა, რომელიც ახასიათებს ადამიანთა მისწრაფებას გაეცნონ მათი კარმიდამოდან ასობით კილომეტრზე მდებარე კულტურის ძეგლებს. ჩვენს რესპუბლიკაში, წარსულის ძეგლების დაცვა საერთო-სახალხო საქმედ იქცა და იგი ახლა სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო (საქძეგლდაცვა), რომელიც 1979 წელს შეიქმნა, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდესი სპეციალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც ფართო მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით. სამმართველოს არსებობის სამი წლის მანძილზე რესტავრირებული და დაკონსერვებულია 200-მდე უნიკალური ისტორიული ძეგლი, მათ შორის ისეთები, როგორც არის ჯვარი, ანანური, ბეთანია, ქვათახევი, სვეტიცხოველი გერგეთის სამება, აჭარის ჭანისწყლის უძველესი ხიდები და სხვა. ყოველწლიურად ხდება 20-მდე უნიკალური კოშკის აღდგენა სვანეთში, რომელიც კოშკური არქიტექტურის ნიმუშთა ერთადერთი საცავია მთელ მსოფლიოში. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის აღდგება თელავის, სიღნაღის სხვადასხვა ისტორიული ობიექტი, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე 37 კულტურის ძეგლი. რესპუბლიკაში ოფიციალურად არის რეგისტრირებული ასობით ძეგლი, რომლებსაც სახელმწიფო მზრუნველობა სჭირდება. მაგალითად, მარტო ახალციხის რაიონში დღეს არის 208 ძველთაძველი ძეგლი, ასპინძაში — 142, ადიგანში — 80, სულ კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უკანასკნელი წლების მანძილზე აღრიცხულია 646 ისტორიული ძეგლი (წინათ ცნობილი იყო 135). ეს დიდმნიშვნელოვანი მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს მთელს რესპუბლიკაში და მისი მასშტაბი შესაძლებლობას მოგვცემს მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე აღუდგინოთ პირველქმნილი სილამაზე კიდევ 300 ისტორიულ ნაგებობას, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ძეგლს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, აღინიშნა თათბირზე, ახორციელებენ და კვლავაც განახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს მთავარი სამმართველოს მატერიალურ-კულტურული ბაზის გასაფართოებლად. ამის მეოხებით საქძეგლდაცვამ ჩამოაყალიბა აგურისა და კრამიტის, ცემენტისა და კირის დულაბის საკუთარი წარმოება, მიიღო გადასახურავი ლორფინის ფილების დამზადების ტექნოლოგიის საავტორო მოწმობა. ახლა შენდება ლითონისა და ხის დამამუშავებელი საამქროები, წყდება სარესტავრაციო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებებით მომარაგების, დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის საკითხები.

ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში შეურიგებელი ბრძოლა წარმოებს იმათ წინააღმდეგ, ვინც აფუჭებს წარსულის ძეგლებს, ვისაც არარად უღირს თავისი სახელი მიანეროს ფასდაუდებელ ფრესკებზე, უნიკალური ძეგლების კედლებზე, მარტო XIV საუკუნის შესანიშნავი კულტურის ძეგლის საფარის მონასტრის კედლები გასუფთავებულია დაახლოებით

14 ათასი დამამახინჯებელი წარწერისაგან. ეს მუშაობა, ხაზგასმით აღი-
ნიშნა თათბირზე, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის შემდგომ გააქტიუ-
რებას და მხარდაჭერას მოითხოვს.

სწორუპოვარ ისტორიულ ძეგლებს დღეს სხვადასხვა საწარმოები, და-
წესებულებები, და ორგანიზაციები შეფობენ. მათი ენთუზიასტები არა
მარტო ეხმარებიან სპეციალისტებს რესტავრირებაში, არამედ უზრუნველ-
ყოფენ კიდევ სანიმუშო წესრიგს უკვე აღდგენილი ძეგლების ტერიტორი-
აზე.

ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შე-
აქვს სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, ბევრ რამეს აკეთებენ სამე-
ცნიერო და შემოქმედებითი ინტილიგენციის წარმომადგენლები.

მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებისადმი უკანასკნელი
წლების მანძილზე ყურადღების ასეთი გააღვივება, განსაკუთრებით აღი-
ნიშნა თათბირზე, ბევრად აიხსნება იმ დადებითი ცვლილებებით, რომლე-
ბიც უკანასკნელ ხანს მოხდა რესპუბლიკაში. ადგილებზე მიმდინარე მთელ
ამ მუშაობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანოები, აქტიურად მონა-
წილეობენ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კულტურის ძეგლთა დაცვა ნა-
მდვილად მამულიშვილური და ინტერნაციონალური საქმეა, იგი მშრო-
მელების, ახალგაზრდობის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის პატრიო-
ტული და ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სა-
შუალებეაა. ჩვენ ყველანი ვამაყობთ იმით, აღნიშნეს თათბირის მონაწილე-
ებმა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლებთან
ერთად შემორჩენილია შესანიშნავი რუსული, აფხაზური, ოსური, სომხური
მაჰმადიანური ძეგლები. ბევრი რამ გაკეთდა ამ ძეგლთა ჭამთა სიავით და-
კარგული სილამაზის აღსადგენად. აღნიშნული ძეგლებისადმი სწორი და-
მოკიდებულების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სხვა-
დასხვა ერებისა და ეროვნებების წარმომადგენელთა შორის ორმხრივი
პატივისცემის გაღრმავებას. თათბირზე ამის დამადასტურებელი თვალსაჩი-
წო მაგალითები მოიყვანეს.

მაგალითად, უკანასკნელ წლებში აღდგენილია ქალაქ თბილისის ძვე-
ლი უბნის ინტერნაციონალური რაიონები, აღორძინებულია რუსული კუ-
ლტურის ძეგლები — ლიკანის პარკ-სასახლის კომპლექსი, რომელიც ცნო-
ბილმა რუსმა არქიტექტორმა ლ. ნ. ბენუამ შექმნა, აბასთუმნის ახალი
ზარზმის ეკლესია განთქმული მხატვრის ვ. მ. ნესტეროვის ფრესკებითურთ;
მიმდინარეობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონის შუა
საუკუნეების ძეგლების — აბანდის, აილალა-აბაქუს მონასტრებისა და
ლიხნის სასახლის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იკორთის ეკლე-
სიის რესტავრაცია; აღდგენილია სომხური ბაზილიკა სამშვილდეში და
ბერძნული ეკლესია თეთრი წყაროს რაიონში; ახალციხეში ხალხთა მეგობ-
რობის რაიონული მუზეუმი განლაგდება სომხურ ეკლესიაში, რომლის
აღდგენაც მიმდინარეობს ახლა; რესტავრირდება მაჰმადიანური კულტურის
ძეგლი — მეჩეთი და მედრესე ახალციხის რაბათში და ბევრი სხვა. ახალცი-

ხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობა ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებს ძველთაძველ ძეგლებს, კერძოდ, ქართული კულტურის ძეგლებს.

მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელ ხალხსაც უნდა შევხვდეთ — ისინი, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ყველა ერისა და ეროვნების, ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის კუთვნილებათა, ამიტომ მათდამი ყურადღებას. ძეგლების საგულდაგულო მოვლას უდიდესი ეროვნული და ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს — ეს ყოველი ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალაია.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო კულტურის ძეგლთა აღდგენისა და დაცვის მთელ სამუშაოთა შემდგომი გააქტიურების საკითხებს. საჭიროა — უფრო შემოქმედებითად გამოვიყენოთ ისტორიული ძეგლები, როგორც ხალხის ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი, მოსწავლე ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითს მუშაობაში, გავაუმჯობესოთ სანარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საშუალო მუშაობა კულტურის ძეგლებისადმი, კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ ამ საქმეში რესპუბლიკის ინტელიგენციას. მთელ მოსახლეობას. ნიადაგ უნდა ვაძლიერებდეთ ყველა რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მათს საქვეუწყებო ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა-შენახვისათვის. ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ საკუთარი ძალებით ძეგლთა ტერიტორიის გასანმენდად, ამ ძეგლებისკენ გზების გასაყვანად, სხვა სამუშაოთა მოსაწყობად, რომლებიც არ საჭიროებენ კვალიფიციურ რესტავრატორ-სპეციალისტებს. დადგა დრო თქვეს თათბირის მონაწილეებმა, აღიჭურვოს ისტორიული ძეგლები ელექტრო-განათებით, მოენყოს ძეგლებიდან 200-300 მეტრით დაშორებული ტურისტთა დასვენების ადგილები, შეიქმნას მოსახერხებელი პირობები დამთვალიერებელთათვის. ეს არა მარტო მოიზიდავს აქ მეტ მსახველს, არამედ სიცოცხლესაც გაუხანგრძლივებს ძეგლებს, უზრუნველყოფს მათი ტერიტორიის წესიერ შენახვას და მოვლა-პატრონობას.

თათბირზე აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის, არქეოლოგიურ გამოკვლევებზე მომუშავე ყველა უწყების, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენების მთავარი სამეცნიერო-სანარმოო სამმართველოს საქმიანობის კოორდინაცია, გათხრების წარმოების ისტორიულ ნაგებობათა კონსერვაციისა და რესტავრაციის დროს.

დღეს უკვე აღარ არის საკმარისი მარტოოდენ აღვადგინოთ ისტორიული ძეგლები, აღინიშნა თათბირზე. ყოველი მათგანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ნამდვილი კერა უნდა გახდეს. საჭიროა მოგვარდეს კვალიფიციურ ექსკურსიამძღოლთა მომზადება, სამკერდე-სამაგიდე ნიშნების, სუვენირების, ბროშურების გამოშვება. ამის მაგალითია ლონისძიებანი, რომლებიც მცხეთის რაიონის განთქმული ჯვრის მონასტერში

ხორციელდება ძეგლთა დაცვა და მათი გონივრული, დეტალურად გააზრებული გამოყენება უნდა წარმოებდეს კომპლექსურად, ურთიერთკავშირით/ ისტორიულ ძეგლებს უნდა შთაებერთ ახალი, საინტერესო, საზოგადოებრივ-სათვის სასარგებლო სიცოცხლე, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე თათბირის დამთავრების შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შვეარდნაძემ დაათვალიერა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ექსპოზიცია, გაეცნო რაიონის ისტორიული ძეგლების რესტავრაციის, კონსერვაციისა და დაცვის ამსახველ ფოტოგამოფენას, ნახა შუა საუკუნეთა ძეგლი საფარა, რომლის რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს.

(საქინფორმი)

გაზეთი კომუნისტი 3 სექტემბერი 1957 წ.



თბილისის ძველი უბნების კომპლექსური რეკონსტრუქციის
ზოგიერთი საკითხი.

უკანასკნელ წლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქების ძველი უბნებისადმი განსაკუთრებით გამაზვილდა ყურადღება, არა მარტო სპეციალისტების, არამედ მოსახლეობის ფართო ფენების მხრივ. ეს აიხსნება თანამედროვე მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბით, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებით, საზოგადოების შეგნების, სულიერ მოთხოვნილებათა ზრდით.

საქართველოს რამოდენიმე ქალაქმა შემოინახა, მთლიანად ან ნაწილობრივ, ისტორიული უბნები დამახასიათებელი განაშენიანებით. ასეთებია — თელავი, სიღნაღი, ქუთაისი, ბათუმი, დუშეთი და პირველყოფლისა თბილისი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის ძალით ქალაქ თბილისის ძველი ისტორიული ნაწილი სახელმწიფო დაცვის ზონად გამოცხადდა. ამით დასაბამი მიეცა ძველი უბნების მიზანდასახულსა და გეგმიან შესწავლასა და რესტავრაცია-რეკონსტრუქციას.

ძველი უბნების რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ჩვენში მხოლოდ სამიოდე წლის წინათ დაიწყო, თუ არ ჩავთვლით აუცილებელსა და ხანგრძლივ მოსამზადებელ სამუშაოს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მანამდე ჩვენი ქალაქმშენებლობის მეცნიერება და პრაქტიკა არ იყო სათანადოდ მომზადებული, არ იყო გამომუშავებული სათანადო მეთოდოლოგია. მით უფრო არ იყვნენ ამ რთული საკითხების გადასაჭრელად მომზადებული ქალაქების მესვეურნი, რომლებიც ადრე სრულიად უგულებელყოფდნენ ისტორიული განაშენიანების მნიშვნელობას და ყოველმხრივ ცდილობდნენ მის შეცვლას ახალი, მრავალსართულიანი სახლებით (რაც დაიწყო კიდევაც თბილისში და მეტად საზიანო შედეგებით აღინიშნა სიღნაღში).

როგორც ცნობილია, თბილისის მოყოლებული VI საუკუნიდან, როდესაც იგი ქართლის დედაქალაქად იქცა, მრავალჯერ იყო დანგრეული და კვლავ აღორძინდა მხოლოდ მისი მოსახლეობის შეუპოვარი მოღვაწეობის შედეგად. უკანასკნელი, ყველაზე საშინელი დარბევა მან განიცადა 1795 წელს, როდესაც საქართველოს წინააღმდეგობისა და მისი რუსეთთან მოლაპარაკებით განრისხებულმა ირანის შაჰმა ალა-მამად-ხანმა ქალაქი ნანგრევებად აქცია. დაინგრა ისტორიულ ძეგლთა უმრავლესობა, დაიწვა მთის კალთებზე მდებარე უბნები, ხოლო კალა და ისანი მიწასთან გასწორდა.

ამგვარად თბილისის ძველი უბნების განაშენიანება არსებითად მიეკუთვნება XIX საუკუნეს ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდს.

ისტორიული საბუთები, გეგმები, ჩანახატები (1672 წლის ფ. შარდენის გრავიურა, ფ. ტურნეფორის 1701 წლის გრავიურა, ნ. ჩერნეცოვის, გაგარინის ნახატები და განსაკუთრებით ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი თბილისის გეგმა) საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ გვიანფოდალური თბილისის სახე. დადგენილია, რომ XIX საუკუნეში ინტენსიური მშენებლობა წარმოებდა, როგორც ძველ უბნებში, ასევე ახალ ტერიტორიებზე ძველი ქალაქის ჩრდილოეთით მდინარე მტკვრის გასწვრივ. სეიდაბადში, ისანში და გარეთუბანში (დღევანდელი ლენინის მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე უბნები) ძველი დაგეგმარება არ შემორჩენილა და ახალი განაშენიანება მიმდინარეობდა რეგულარული სისტემით, თანამედროვე გეგმების საფუძველზე. რაც შეეხება ძველი ქალაქის ბირთვს — კალას, აქ სახლები შენდებოდა ძველი ქუჩების გასწვრივ დანგრეული შენობების საძირკვლებზე ან შემორჩენილი ნაწილების აღდგენის ხარჯზე. ამგვარად ძველი ბირთვი ინარჩუნებს გვიანფოდალური ქალაქის (XVII-XVIII საუკუნეები) დაგეგმარების ყველა თვისებას, მის ქუჩების ქსელს და რაც მთავარია, მის სივრცით კომპოზიციას.

სწორედ ძველი ქალაქის ფარგლებში იმყოფება მონუმენტური ხუროთმოძღვრების თითქმის ყველა ძეგლი: ნარიყალა, ანჩისხატის ბაზილიკა, სიონის ტაძარი, მეტეხის ტაძარი, ბეთლემის ეკლესიები და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ეკლესიები. აქვეა XVII საუკუნის აბანოები, სასწაულად გადარჩენილი ერთადერთი უძველესი სახლი ე. წ. „ფორაქიშვილების დარბაზი“ და ორიოდე ბანური სახლი, რომლებიც თბილისის განაშენიანების ძირითად საცხოვრებელ სახლის ტიპს წარმოადგენდნენ. სახლების უმრავლესობას შეადგენენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში და საუკუნის დასასრულს აგებული სახლები, სადაც ორგანულად არის შერწყმული ბინების დაგეგმარებისადმი თანამედროვე მოთხოვნილებანი და კლასიციზმის არქიტექტურის ზოგიერთი ფორმები და მოტივები, ტრადიციულ ქართულ კომპოზიციასთან ღია კიბეებით, ფართო აივნებით და ხალხური ხუროთმოძღვრების სხვა ხერხებთან.

მაგრამ რა ხიბლავს ყველას, ადგილობრივ მოსახლეობას თუ ჩამოსულ სტუმრებს ძველ თბილისში. რა თქმა უნდა არა მარტო მეტად საინტერესო სახლები და ძეგლები, არამედ ძველი ქალაქის მხატვრული სახე, მისი მასშტაბი, სილუეტი, ბუნებასთან არქიტექტურის ბრწყინვალე შერწყმა. შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტი და რთული რელიეფი გამოყენებულია მეტად მარჯვედ და გონივრულად. ციხეებისა და ეკლესიების მდებარეობა, მთის კალთებზე შეფენილი სახლები, მტკვრის მარცხენა, მაღალი ნაპირის ცხოველხატული გაშენება, მუდმივად გახსნილი და ცვალებადი ხედები, ყოველივე ეს ქმნის შეუდარებელ ანსამბლს, დამამახსოვრებელი სილუეტით. ამასთანავე აქ აშკარად ვლინდება ჩამოყალიბებული სივრცითი კომპოზიცია. ბუნებრივი გრძივი ლერძის — მდინარე მტკვრის საპირისპირო ნაპირებზე ნარიყალასა და ისნის ციხეები ქმნიდნენ მდინარის დინების პერპენდიკულარულ ლერძს, რომელიც ხაზგასმული იყო მეტეხის ტაძრისა და ნარიყალას ციხეზე არსებული მეტეხის თანადროული წმ. ნიკოლოზის

ეკლესიის ვერტიკალებით. ამ ორ დოკუმენტს შორის კი ჩანდა კომპოზიციის დამაგვირგვინებელი ძთანმინდა.

სწორედ ამიტომ რესტავრაციას თუ რეკონსტრუქციას ექვემდებარება არა მარტო ცალკეული შენობები, თუნდაც ძეგლები, არამედ პირველყოფლისა, ძველი უბნების მხატვრული სახე, მისი მასშტაბი, სილუეტი ე. ი. მთლიანად განაშენიანება თავისი მოედნებით, ქუჩებით, ჩიხებით და მისი ბუნებრივი გარემო.

ორიოდე სიტყვით შევხვით ჩასატარებელ სამუშაოთა ხასიათს. როდესაც ლაპარაკია ძველ უბნებზე დაწყებულ სამუშაოთა შესახებ, ხშირად იხმარება ტერმინები: რესტავრაცია, რეგენერაცია, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია. კონსერვაცია გულისხმობს ძეგლის შემორჩენილი კონსტრუქციებისა და ფრაგმენტების დაცვას ატმოსფერული მოვლენებისაგან და შემდგომი განადგურებისაგან. აქ არ იგულისხმება ინტერპრეტაციები რესტავრატორის მხრივ. ძეგლი უნდა იყოს შემონახული იმ სახით, როგორც მოაღწია ჩვენამდე. ასეთი სამუშაო ნაფარაუდევია ნარჩალას ციხეზე და იქვე აღმოჩენილ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე.

რესტავრაცია გულისხმობს ძეგლის ყოველმხრივ, მეცნიერულ შესწავლას მის გამაგრებასა და აღდგენას, პირვანდელი სახის მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის გამოვლენით. ასეთი სახის სამუშაო ტარდება აბანოებსა და დედოფალ დარეჯანის სასახლეზე „საჩინო“.

დასაშვებია ე. წ. კომპრომისული რესტავრაციის მეთოდი, როდესაც ისტორიულ-მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლმა განიცადა მნიშვნელოვანი გადაკეთებანი. ასეთ შემთხვევაში ძეგლის განმენდა შემდგომი ფენებისაგან ყოველთვის როდია მიზანშეწონილი, ვინაიდან ამ შეკეთებასაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ისტორიული ღირებულება. ასეთ შემთხვევაში მაქსიმალურად ვლინდება პირვანდელი ნაგებობა და ამავე დროს დაცულია შემდგომი გადაკეთების ფენებიც. ასეთი სამუშაოს თვალსაჩინო მაგალითია ანჩისხატის ტაძარი.

ტერმინი რეგენერაცია ანუ აღორძინება, განახლება მართებულია მხოლოდ ქალაქმშენებლობის სამუშაოთა შემთხვევაში, ვინაიდან ამ დროს იხმარება ახალი კონსტრუქციები და იგება ახალი შენობებიც, ე. ი. ხდება რეკონსტრუქცია. თუმცა ამ ტერმინის ხმარებისას აგრეთვე გვმართებს გარკვეული სიფრთხილე. ისტორიულ უბანში ერთერთი ძირითადი ამოცანაა მისი ისტორიულ-მხატვრული სახის დაცვა და ცალკეული ძეგლების რესტავრაცია და არა მხოლოდ რეკონსტრუქცია. აქ უნდა ითქვას, რომ თუმცა ქალაქის ძველი უბნები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, რადგან ისინი წარმოადგენენ ქალაქის ისტორიულ განვითარების ცოცხალ მატრიანეს, ანვითარებენ დროთა კავშირს თაობათა შორის და ხელს უწყობენ არქიტექტურაში ტრადიციების ღრმა გააზრებას, მაგრამ ქალაქი ცოცხლობს და ყველა შენობა ვერ გადაიქცევა მხოლოდ რელიქვიებად. აქ ცხოვრობს ათეული ათასი ადამიანი. ამიტომ საჭიროა ამ უბნების გადახალისება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და თანამედროვე კომფორ-

რტის შექმნის გათვალისწინებით, ე. ი. აუცილებელია რეკონსტრუქცია, მაგრამ ძველი ქალაქის მთლიანობის დაცვა, პირვანდელი მასშტაბის, სილუეტის და სივრცითი კომპოზიციის შენარჩუნებით. გულუბრყვილება იქნებოდა გვეფიქრა, რომ სადღეისოდ შეიძლება პირვანდელი სახით შემოვიყაროთ ქალაქის დიდი უბანი, ან ალვადგინოთ, როგორც ზოგიერთი რომანტიკულად განწყობილი ფიქრობს. აქ ძველი ყოფაა. სახელოსნოებით, დუქნებით, მოხეტიალე აქლემებითა და ვირებით. ეს შეუძლებელია, ეს ნიშნავს სხვა სოციალური პირობების შექმნას, ქალაქი ეხოვრობს და ძველი უბანიც უნდა გახდეს მისი ცოცხალი, ორგანული ნაწილი, უფრო მეტიც, ძველ უბანში შეიძლება გაშენდეს, უნდა გაშენდეს ახალი შენობებიც, ცხადია განაშენიანების მასშტაბისა და ხასიათის დაცვით. ეს საკითხიც ინვესტცხარე დისკუსიებს. მაგრამ თვით ძველი თბილისიც ხომ სხვადასხვა პერიოდშია გაშენებული განსხვავებული სტილის შენობებით. ეს ქალაქმშენებლობის კანონია, პირიქით შემთხვევაში ყველა ქალაქის განვითარება უნდა შეწყვეტილიყო და გაყინულიყო.

ამგვარად, აუცილებელია ძველი უბნების კომპლექსური რეკონსტრუქციის ჩატარება, ეს კი გულისხმობს მის განახლებას თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და როგორც ცალკეული ძეგლების, ასევე მთელი უბნების მხატვრულ-ისტორიული გარემოს დაცვას. აქვე დაეძინოთ, რომ ამ სამუშაოთა შესრულების დროს უნდა გამოვიდეთ პირველყოელისა ძეგლის ინტერესებიდან. მეცნიერებასა და მშენებლობის თანამეგობრობაში, აქ პირველობა უცილობლად მეცნიერებას ეკუთვნის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძეგლების დაცვა უკეთ ხერხდება მისი ტრადიციული ფუნქციის შენარჩუნების შემთხვევებში. ამიტომ ძველი სახლების უმეტესობა კვლავ საცხოვრებლად უნდა იყოს გამოყენებული. ძველი შენობების თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენების დადებით მაგალითებად გვევლინება: საჭაშნიკეს მონყობა ბარათაშვილის ქუჩაზე ძველ სარდაფებში, რესტორან „მუხრანთუბანის“ მონყობა საცხოვრებელ სახლში, მინიატიურების თეატრის მონყობა, ფოლკლორული თეატრის მონყობა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, თეატრალური მუზეუმის მონყობა ე. წ. სვიმონის სასახლეში, კულტურას ძეგლთა დაცვის საზოგადოების განლაგება ძველ საცხოვრებელ სახლში და მრავალი სხვა.

სრულიად ცხადია, რომ ძველი უბნების არსებული ქუჩების ქსელი, ვინრო შესახვევები და ჩიხები არ გამოდგება თანამედროვე ტრანსპორტისათვის. პირველ რიგში აუცილებელია ამ უბნიდან გატანილ იქნას ყველა ის სამრეწველო საწარმოო და უამრავი უშოო საწყობები, რომელთა არსებობასთან დაკავშირებულია სატვირთო ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა. შემდეგ უნდა გამოითიშოს გამჭოლი მოძრაობა და დაშვებულ იქნას მხოლოდ ჩიხური გასვლა თითოეულ შენობასთან. აუცილებელია მაგისტრალური ტრანსპორტის გატანა ძველი უბნების საზღვრებს გარეთ და ძირითადადში ფეხით მისასვლელი გზების დატოვება.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემაა ძველ უბანში არსებული ყამირის ნყლები (და ალბათ სამეურნეო ნყლებიც), რომელთა წყალობით სარდაფების უმრავლესობა წყალში იმყოფება. ეს კი საფრთხეს უქადის შენობებს

და იწვევს მათ ნგრევას. საჭიროა წყლის გაყვანის სისტემის დაშლა, პირიქით შემთხვევაში ძველი უბნების რეკონსტრუქცია ჰკარგავს ყოველივე აზრს.

სარესტავრაციო

სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაო თბილისის უბნებში უკვე ტარდება. მართალია შესრულებულია უზარმაზარი სამუშაოს ჯერ მცირე ნაწილი, მაგრამ ის რაც გაკეთებულია გვაძლევს უფლებას შევფასოთ შედეგები, დავინახოთ როგორც დადებითი მხარეები, ასევე აღვნიშნოთ ის ხარვეზები, რომლებიც თან სდევდა ამ სამუშაოს.

პირველი უბანი, სადაც ჩატარდა სარესტავრაციო ღონისძიებანი იყო ბარათაშვილის ქუჩა; აქ შ. ყავლაშვილის ხელმძღვანელობით აღებულ იქნა უსახო, გვიანდელი შენობების ორი მწკრივი, გამოვლინდა ქალაქის გალავნის ხაზი და მასზე დაშენებული სახლები. საერთო სურათი მეტად სასიამოვნოა, ამასთანავე სახლები იყო ადაპტირებული თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მოსახლეობას შეექმნა ცხოვრების უკეთესი პირობები. უეჭველად ქუჩის ღირსია მიწისქვეშა გასასვლელი. ეს სავსებით თანამედროვე და ქალაქისათვის აუცილებელი ნაგებობა თავისი იერიით ორგანულად აკავშირებს ძველ ქალაქს ახალთან, თითქოს შეჰყავს ხალხი ძველი ქალაქის ატმოსფეროში და ამავე ღრის ქმნის აუცილებელ დაცვით ზონას.

ძირითადად კარგად შესრულდა სარესტავრაციო ღონისძიებანი ნ. ბარათაშვილის ძეგლის მიდამოებში კიბალჩიჩის აღმართზე. აქ არსებითად თითქმის არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, მაგრამ რესტავრაციის შემდეგ ამ უბანმაც მიიღო ცხოველხატული სახე.

მესამე უბანი გაცილებით რთული იყო. ეს ე. წ. ანჩისხატის უბანი გაიწმინდა უამრავი უსახო ნაგებობისა და მინაშენებისაგან, გაიხსნა ხედები თბილისის უძველეს ანჩისხატის ეკლესიაზე. საკმარისა შევადაროთ დღევანდელი გახსნილი ხედი იმას, რაც იყო სარესტავრაციო სამუშაოთა დაწყებამდე და ნათელი გახდება ჩატარებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა.

ახლა დღის წესრიგშია გაცილებით მნიშვნელოვანი და რთული მუშაობა კალას სიღრმეში და ნარიყალას კალთებზე. ამიტომ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ დაშვებულ შეცდომებზე, რათა აღარ გავიმეოროთ მომავალში.

მე მიმაჩნია, რომ ბარათაშვილის ქუჩაზე გალავნის აღდგენისას არ იყო საჭირო მისი სრული განახლება ქონგურების ჩათვლით, მით უფრო რომ ყოველივე ეს არაა სათანადოდ დასაბუთებული. აშკარად არაა სწორი დეკორატიული უბისისეული სალოდეების მოწყობა გალავანზე, მით უფრო, რომ ასეთი სალოდეები არაა ტიპოური. მე ასევე ვერ მაკმაყოფილებს ბარათაშვილის ქუჩის ბოლოს მდებარე სახლის რეკონსტრუქცია (ბავშვთა სურათების გამოფენა) რომელსაც ანდალუზიის იერი გაცილებით უფრო დაჰკრავს ვიდრე ქართული. ასევე როგორც მის წინ დადგმულ ქანდაკებაში „ფერხული“ იგრძნობა ფლამანდური კირმესის ამოსავალი.


აღბათ ეჭვს იწვევს ანჩისხატის ეკლესიის სიახლოვეს აგებული ლაღის წყლების საფირმო მალაზია. ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, არა ვართ წინ-

აღმდეგი ახალი შენობების გაჩენისა, მაგრამ შენობა ძველის მახლობლად უნდა იყოს უფრო ნეიტრალური, უფრო მოკრძალებული. ამ დროს კი თა-
ლადი იმდენად აქტიური ელემენტია, რომ უსაფუძვლოდ ედავება ტაძარს.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის მნიშ-
ვნელოვანი მომენტი, რომ ჩვენ მოვახერხეთ თბილისის ძველი უბნების
გადარჩენა და არ გაშენდა ახალი შენობები, რომლებიც უეჭველად შეიტა-
ნდნენ მასში დისონანსს და დაარღვედნენ მასშტაბს. მაშინ ყოველი შემ-
დგომი ღონისძიებანი უაზრო იქნებოდა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ
ჩვენი ქვეყნის ძალიან ბევრ ქალაქში ასეთი უბნები აღარ არსებობს.

უკვე შესრულებულმა სამუშაომ და პირველ რიგში ბარათაშვილის ქუ-
ჩის კომპლექსურმა რეკონსტრუქციამ თვალნათლივ დაგვანახა თუ რაო-
დენ მნიშვნელოვანი მხატვრული შესაძლებლობანია ჩაქსოვილი ძველ ქა-
ლაქში. დაარწმუნა ქალაქის მესვეურები ამ სამუშაოთა გაგრძელების
აუცილებლობაში, მოიპოვა საყოველთაო მონონება საზოგადოების ფართო
ფენებში და ვფიქრობ კიდევ უფრო შეაყვარა თბილისელებს თავისი ქა-
ლაქი.

ჩვენ კი გვმართე'ს მეტი სიდინჯე, საკითხების ღრმა, მეცნიერული
გააზრება და მეტი შრომა — ამის ღირსია კეთილშობილი ამოცანა შემოვ-
უნახოთ მომავალ თაობებს ძველი ქალაქების მხატვრული სახე.



ბარათაშვილის ქუჩა, ძველი ქალაქის
გალავანი

Улица Бараташвили, крепостная
стена старого города.

ნოდარ მგალობლიშვილი

ქუჩების რეკონსტრუქცია თბილისის ძველ უბნებში

უკანასკნელ წლებში თბილისის ძველ უბნებში ჩატარებულმა სამუშაოებმა რეკონსტრუქციის, რესტავრაციის, რეგენერაციისა და ადაპტაციის სფეროში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს სამუშაოები არ მცირდება, პირიქით სულ უფრო და უფრო ფართოდ იშლება. გროვდება გამოცდილება, ტარდება განზოგადოება და ანალიზი, ზუსტდება და იხვეწება მეთოდი; და, რა თქმა უნდა, იბადება ახალი პრობლემები.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემათაგანია სატრანსპორტო და საფეხმავლო მაგისტრალების რეკონსტრუქცია ძველ ქალაქში. თბილისის ქალაქთმშენებლური სტრუქტურა საკმაოდ რთულია და წინააღმდეგობებით ზღსავსე. მტკვრის ხეობის ვიწრობებში განლაგებული ქალაქი, რომლის სიგრძე 40 კმ

აღწევს, ხოლო სიგანე ზოგ ადგილას 2 კმ-საც არ აღემატება, ვითარდებოდა 15 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ყველაზე უფრო შევიწროებული და რელიეფის მხრივ რთულ ნაწილში, დაახლოებით მთელი ქალაქის ტერიტორიაში, იმყოფება ძველი უბნები, თითქმის ამორტიზირებული, დაქვიშებული მაგრამ საოცრად ცხოველხატული და მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი განაშენიანებით. ამ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში, მრავალი გვიანი მინაშენით გადის რამდენიმე ქალაქისათვის მნიშვნელოვანი არტერია, რომელთაგანაც ზოგიერთს ნარსულში გადამწყვეტი ქალაქთმშენებლური მნიშვნელობა ჰქონდა და ეს დღესაც არ დაუკარგავს. ამგვარად, საქართველოს დედაქალაქის ხუროთმოძღვართა წინაშე დადგა უჩვეულო, მრავალმნიშვნიანი ამოცანა, რომლის მრავალ ასპექტთაგან ერთ-ერთი ნარმოგვიდგა ასეთი სახით: ძველი, ნახევრად დანგრეული უბნების აღდგინება, ამ უბნების რეკონსტრუქციის დროს უნდა გაუმჯობესდეს, ყოველ შემთხვევაში, არ გაუარესდეს, სატრანსპორტო მოძრაობის საერთო კომპლექსური სქემა, მიღებული თბილისის დამტკიცებული გენერალური გეგმის თანახმად. ამოცანა რთულია და დელიკატური. თანამედროვე სატრანსპორტო მაგისტრალის ქირურგიულად, პირდაპირ ჩაჭრას ძველი ქალაქის ფაქიზ ქსოვილში უკვე ჰქონდა ადგილი ომამდე თბილისის ქალაქთმშენებლურ პრაქტიკაში და შედეგად სავალალო აღმოჩნდა. მტკვრის სანაპიროების — ჩქაროსნული მაგისტრალის გაყვანის დროს სამუდამოდ დაეკარგეთ ძველი ქალაქის უნიკალური პანორამის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. დაიკარგა კუნძულები, მტკვრის ზოგიერთი ცხოველხატული ნაპირები, უშუალოდ წყალზე გადამდგარი ნაგებობებით; დაიკარგა მეტად დამახასიათებელი ხიდი მეტეხის კლდეებთან; საინტერესო ცისფერი მწიფი და სხვა მრავალი, რაზედაც ცრემლის ღვრას აღარა აქვს აზრი, მაგრამ ხანდახან მოგონება კი საჭიროა, რამეთუ აღარ განმეორდეს მსგავსი რამ.

თანამედროვე არქიტექტორების, ქალაქის საბჭოთა და პარტიული ხელმძღვანელების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ დღეს დამოკიდებულება თბილისის უძველესი განაშენიანების მიმართ ფრთხილად ყურადღებიანი და მოკრძალებულია, როგორც ეს შეშენის რესპუბლიკის ეროვნულ საგანძურს.

თბილისის ძველი უბნების ქუჩები, სადაც ტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ძალიან პირობითად შეიძლება გაეყოთ სამ ჯგუფად: სატრანსპორტო მაგისტრალები, ფეხთმავალთა, სავაჭრო; ცხოველხატული, სახასიათო.

რეკონსტრუირებული ქუჩებიდან პირველ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ბარათაშვილის ქუჩა და სანაპიროს განაშენიანება ბარათაშვილის ხიდიდან ვიდრე მეტეხამდე.

ბარათაშვილის ქუჩა შეიქმნა ძველი, ვიწრო, ყოფილი მუხრანის ქუჩის გაგანიერებით, ამორტიზირებული განაშენიანების ხარჯზე, ეს ქაოტური განაშენიანება ათეული წლების განმავლობაში სტიქიურად გაჩნდა, როგორც მრავალფენოვანი მინაშენი ძველი ციხე-სიმაგრის კედელზე. ბარათაშვილის ქუჩა ქალაქისათვის არის მძაფრად სავალდებულო და ნათლად



ბარათაშვილის ქუჩა, ხედი მთაწმინდაზე.

Улица Бараташвили, вид на Мтацминда.

გამოსახული განივი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც ახალ ორიარუსიან ხიდთან ერთად ფუნქციურად აკავშირებს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებს გრძივად განლაგებულ ქალაქში. ქუჩის ერთი მხარე განამუშავებულია თანამედროვე ნაგებობებით, ხოლო მეორე მხარე იყო, როგორც უკვე აღინიშნა, დაკავებული უმნიშვნელო, უმთავრესად ერთსართულიანი სახლებით, რომელთა ადების შემდეგ ბევრ ადგილას გამოჩნდა აველი ციხე-სიმაგრის გალავანი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ადრინდელი პროექტით, ხიდის მშენებლობასთან ერთად ქუჩის ამ მხარზე გათვალისწინებული იყო 8-12 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მაგრამ უკვე მაშინ, სამოციან წლებში ქალაქის არქიტექტურულმა საზოგადოებამ მძაფრი პროტესტი განაცხადა ძველი ქალაქის ისტორიულად შექმნილ სტრუქტურაში ასეთი უხეში შემოჭრის გამო. ახალი პროექტით, რომლის ავტორი ასევე არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი იყო, გალავანი ნაწილობრივ აღდგენილია, ხოლო ამ კედელზე მიშენებული ზოგი-

ერთი სახლები დამახასიათებელი აივნებით რესტავრირებული ან რეკონსტრუირებულია, რა თქმა უნდა ყველაფერი ზუსტად ისე არაა აღდგენილი, როგორც იყო, მაგრამ მკაცრად დაცულია განაშენიანების მასშტაბი და აღდგენილია ძველი ქალაქის საერთო დამახასიათებელი სახე. ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია ფრიად ღირსშესანიშნავი მაგალითია იმისა, სადაც ვარდა ავტორის უდავოდ შემოქმედებითი გამარჯვებისა, — რასაც უზარმაზარი შრომა დასჭირდა — გაიმარჯვა მეცნიერულმა კონცეფციამ, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდნენ ჩვენი ხუროთმოძღვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, მხატვრები, მწერლები და სხვ. ეს იყო ოცნება ძველი ქალაქის აღდგენისა. მისი ვინრო ქუჩებითა და შუკებით, კოლორიტული ყოფით, პატარა დუქნებით, საამქროებით ხალხური შემოქმედების მალაზიებით. ცოდვა გამხელილი სჯობს და ქალაქისა და რესპუბლიკის იმდროინდელ ზოგიერთ ხელმძღვანელს არ ესმოდა ვის რათ უნდოდა აღდგენა ამ ნახევრად დამპალი სახლებისა, „ძველი მოდის“ აივნებისა და ფასადებისა.

ამგვარად, ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის განხორციელებულ იდეაში გათვალისწინებული იყო ზეამოცანაც: თვალსაჩინოდ ნატურაში და არა პროექტებში ან სიტყვიერად, დევანახოთ ყველას რა არის, ზოლოსდაბოლოს ეს — აღდგენილი ძველი ქალაქი. როდესაც აღსდგა მთელი თავისი სიღამაზით რევალორიზებული ბარათაშვილის ქუჩა, რომლის მშენებლობა დაიწყო, როგორც ჩვეულებრივი სატრანსპორტო მაგისტრალისა და რომელიც შედეგად ჩატარებული სამუშაოებისა გადაიქცა ეროვნულ საგანძურად, ყველაზე თამამი პროგნოზები გადაჭარბებით აღსრულდა; ასეთი ერთსულოვანი მონონება რესპუბლიკის ყველა ფენაში არ ახსოვს ხელოვნების არც ერთ ნაწარმოებს. სრული მხარდაჭერა ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა, რომელმაც ჩაატარა უზარმაზარი საორგანიზაციო სამუშაო და გამოყო მნიშვნელოვანი სახსრები, მოქალაქეთა არნახული ერთუზიანში — ყველაფერი ეს გახდა სანინდარი თითქმის სპონტანურად დაბადებული ქეშმარიტად სახალხო დღესასწაულისა — თბილისობისა.

ეს ყოველწლიური დღესასწაული, რომელიც მიმდინარე შემოდგომაზე ჩატარდა მეოთხედ და რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გახდა ყველაზე საყვარელი და მასიური ტრადიციული დღესასწაული საქართველოში დაიბადა, და ამას განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ არქიტექტორები, არქიტექტურული ანსამბლის პირდაპირი გავლენით. ძველი ციხე-ქალაქის გაღავანი, მთელი რიგი აღდგენილი ცხოველხატული სახლები, რომლებიც გამოდიან ხმაურიან და აურზაურიან სატრანსპორტო მაგისტრალზე, გადაიქცა ძველი განაშენიანების რეკონსტრუქციისა და რეგენერაციის ფართომასშტაბიან სამუშაოთა სანყისად. ყოველი დღესასწაულისათვის თბილისელი მშრომელები აბარებენ ძველი უბნების რეკონსტრუირებული ნაწილის დიდ მოცულობას.

ასევე ხმაურიან მაგისტრალზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც ბარათაშვილის ქუჩის ბუნებრივ გაგრძელებაზე გამოდიან ძველი



Մահալեանի խոյա.
Իգնին Իսչո.

Улица Шардена.
Железный ряд.





ბათუმის რიგი.

Ватный ряд.

უბნების აღდგენილი სახლები. აქ ლიკვიდირებულ იქნა ტრიკოტაჟის ფაბრიკა, მოიხსნა მთელი რიგი მომცრო, უმნიშვნელო სახლები და ფარდულები. გამოხშირულ გარემოში ისევ აფლვარდა პირველქმნილი სილამაზით ანჩისხატის ბაზილიკა. ბაზილიკასთან ერთად ცხოველხატულ რიგში განლაგებულია ბავშვთა სურათების გალერეა, გამაგრილებელი სასმელების საფირმო მაღაზია, რომელშიც მონყობილია ლალიძის მემორიალი, რესტორანი „ქალაქური“, ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, თბილისისათვის დამახასიათებელი შიდა ეზოებით, საფეხმავლო და სავაჭრო ქუჩები. მეტად საინტერესო შედეგს ველოდებით უკვე დაწყებულ სამუშაოებისაგან, რომლებიც ტარდება შუა საუკუნეების თბილისის მთავარი სატრანსპორტო არტერიის შავთელის, ერეკლესა და სიონის ქუჩებზე. ეს იქნება საფეხმავლო მაგისტრალი, ჭეშმარიტად ტურისტული მექა. აქაა განლაგებული ქალაქის მთავარი ტაძარი სიონი, მეფის სასახლის კომპლექსი, რამდენიმე შთამბეჭდავი ქარვასლა, ეგზარქოსის სასახლე, მრავალრიცხოვანი სავაჭრო დუქნები, საამქროები, თავისებური,



სამტეხოს ქუჩა.

Красильная улица.

ნაირსახა საცხოვრებელი სახლები. ეს მაგისტრალი იწყება ბარათაშვილის ქუჩიდან, მიდის მტკვრის პარალელურად და მთავრდება მეტეხის ხიდთან. ამ ქუჩის თავი და ბოლო უკვე რეკონსტრუირებულია, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა წინ, რომლის ყველაზე დიდი სიძნელე, ეს არის საცხოვრებლების ნაწილის და მრავალი სასაწყობო და სანარმოო დაწესებულებათა გასახლება. ეჭვს გარეშეა, რომ სიონის ქუჩა უახლოეს მომავალში, როგორც სავაჭრო და ხალხურ ხელოსანთა ცენტრი, კოლორიტულ მხატვრულ გარემოში გადაიქცევა საყვარელ ადგილად ქალაქელებისათვის და თბილისის მრავალრიცხოვან სტუმრებისათვის.

მხოლოდ ფეხთმავალთათვისაა რეკონსტრუირებული შარდენის ქუჩა, ყოფილი ბნელი რიგი. ეს პატარა, მაგრამ საოცრად ცხოველხატული ქუჩა ატარებს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის სახელს, რომელიც 1672 წელს იყო თბილისში და დაგვიტოვა ქვეშარტიად უძვირფასესი მასალა: დიდი რაოდენობით ნახატები და მაშინდელი ქალაქის აღწერა. შარდენის ქუჩის რეგენერაცია-რეკონსტრუქცია, ისევე, როგორც მიმდებარე უბნისა, ბამბისა და რკინის რიგებისა და ა. შ., დიდი ტაქტიკითა და გემოვნებით განხორცი-



საქართველო
საბჭოთავო
საქართველო

კიბალჩიჩის ქუჩა.

Улица Кибалочиа.

იელდა არქიტექტორ გ. ბათიაშვილის ხელმძღვანელობით. ამავე სახელწოდებით არქიტექტორმა ვ. ორბელაძემ აღადგინა სამღებრო ქუჩის განაშენიანება.

და ბოლოს, თუ გავყვებით, ვიმეორებ, მეტად პირობითად მიღებულ კლასიფიკაციას, ცხოველხატულ, მძაფრად დამახასიათებელ რეკონსტრუქციის მაგალითებად გამოგვადგება კიბალჩიჩის ქუჩა, მეტეხისა და ღვინის აღმართები, მეტეხის კლდის განაშენიანება.

კიბალჩიჩის ქუჩა თითქოს ამთავრებს ბარათაშვილის ქუჩისა და ახალი ხიდის პერსპექტივას, ორგანიულად აკავშირებს მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებს და ჰქმნის ერთიან ანსამბლს. ეს პატარა ქუჩა აგვირგვინებს ბუნებრივ ამფითეატრს, რომელიც განლაგებულია ბარათაშვილის ძეგლის ირგვლივ. ამფითეატრი, ცალმხრივი, მრავალღარუსიანი და მრავალტერასიანი განაშენიანებით გამოდის მტკვრის ბასეინზე, ორ-



კიბალჩიის ქუჩის ფრაგმენტი.
 მეტეხის აღმართი.

Фрагмент улицы Кибальчиа.
 Метехский подъем.



სართულიანი ხიდის ესპლანანადაზე და ბარათაშვილის ქუჩის ფართობის
რცეზე, რომლის ღერძზე აღმართულია მთანმინდა პანთეონით, ფუნქცი-
ლიორითა და სატელევიზიო ანტიით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომეველც ქალაქის
ეს რეკონსტრუირებული უბნები, გრძივი, სივრცობრივ განლაგებას
წყალობით, ჰქმნიან თბილისში ფრიად მნიშვნელოვან ქალაქმშენებლურ
და კომპოზიციურ ღერძს, რომელიც შეიცავს რა ესთეტურსა და ფუნქცი-
ონალურ კატეგორიებს და აერთიანებს ძველსა და ახალს, გვევლინება, რო-
გორც მნიშვნელოვანი კომპონენტი საქართველოს დედაქალაქის თანამე-
დროვე მხატვრული სახის შექმნაში.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების მაღალმხატვრულმა, ესთეტურმა
მხარემ აქტიურად აამოქმედა ის არქიტექტორებიც, რომლებიც მუშაობენ
ქალაქის ახალი შენობების, ქუჩების და რაიონების შესაქმნელად. არის
ცდები თანამედროვე ნაგებობებში ძველი ოსტატების მხატვრული მიღწე-
ვების გამოყენებისა .იგულისხმება, ბუნებრივია, ის ტრადიციული ხერხები
და მასალები, რომელთა გამოყენება შესაძლოა თანამედროვე მშენებლობ-
აში. იგულისხმება ნაგებობათა მასშტაბურობა, შეფარდება ადამიანთან,
დამკვიდრებულ ყოფასთან, ეროვნულ იერთან, რბილ ჰავასთან და ა. შ.

თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, რეგენე-
რაცია და ადაპტაცია გრძელდება...



თბილისის ბატონის მოედნის ლოკალიზაციისათვის

VI საუკუნეში ჩაისახა თბილისის გრძივი ლერძი — მთავარი მაგისტრალი, რომელიც დღევანდელი სიონის, ერეკლეს და შავთელის ქუჩების ხაზზე გადიოდა. ამ ქუჩის მნიშვნელობაზე მეტყველებენ მის სწვრივად განლაგებული თბილისის უმთავრესი საყდრების მოცულობები. აქ შენდება სიონი, მთავარანგელოზის და მარიამის (შემდგომში ანჩისხატად წოდებული) ეკლესიები. პლატონ იოსელიანის აზრით იქ, სადაც გვიან როსტომი აშენებს თავის რეზიდენციას, თითქოს ადრევე არსებობდა სასახლე. ამ შენობათაგან ჩვენამდე მხოლოდ სიონმა და ანჩისხატმა მოაღწია. მთავარანგელოზის ეკლესია კი, რომელიც აწინდელი ერეკლეს მოედნის ახლოს, წმ. გიორგის სასახლისეული ეკლესიის ადგილზე მდგარა და დიდი მოცულობით გამოირჩეოდა, მონღოლებს დაუნგრევიათ¹. ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე ამ არტერიის ბოლოს მდებარეობდა, იქ, სადაც ვახუშტი ბატონიშვილი ე. წ. „ქვემო კარს“ აღნიშნავს (აწინდელი შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების შერწყმის ადგილზე). დროთა განმავლობაში ქვემო კარი კარგავს მნიშვნელობას და XVII საუკუნის მეორე ნახევარში, კალაენის რეკონსტრუქციისას, მას აუქმებენ, ამგვარად, თბილისის ერთ-ერთი მთავარი ქუჩების სისტემა მტკვრის პარალელურად მიემართებოდა. ამ არტერიის დაახლოებით შუაწელზე ჩამოყალიბდა თბილისის მთავარი მოედანი — ბატონის „იგივე მეფის. მას ზოგჯერ ზემო მოედანსაც უწოდებდნენ. ეს სახელწოდება თბილისის კედლით შემოფარგლული უმთავრესი ნაწილის კალას ორ დიდ ნაწილად — ზემო და ქვემო უბნებად დაყოფის ანარეკლია. ზემო და ქვემო უბნების ზღვარი ამჟამინდელ ლესელიძის ქუჩის სწვრივად გამავალ ქუჩების სისტემას, ძველ „შუა ბაზარს“ გასდევდა. ამასთან, უბნების დასახლება არ გამომდინარეობდა მთავარიანი რელიეფის ხასიათიდან, არამედ ასახავდა მათ განლაგებას მტკვრის დინების მიმართ. სამკუთხა ფორმის ზემო უბანი იფარგლება დღევანდელი ბარათაშვილის და ლესელიძის ქუჩებით, სანაპიროთი და ბამბის რიგით.

ფეოდალური თბილისის კალაში ორი ვრცელი მოედანი იყო. ერთი მათგანი ქვემო უბანში — ციხის ან თათრის მოედანი („შუითანბაზარი“), ისინი ხიდის სიახლოვეს, დღევანდელი გორგასალის მოედნის ადგილზე, მეორე კი ბატონის ან მეფის მოედანი, მდებარეობდა ანჩისხატსა და სიონს შორის დაახლოებით ტოლ მანძილზე.

ბატონის მოედანი საკმაოდ ვრცელი ყოფილა და ფორმით კვადრატს უახლოვდებოდა. მოედნის ჩრდილოეთი მხარის დიდი ნაწილი სამეფო გვარის სასახლეთა კომპლექსს ეკავა. კომპლექსი რთული იყო და სახეს იცვლიდა ხოლმე. როსტომის მიერ აგებულ სასახლეს დროთა განმავლობაში ახალი კორპუსები ემატებოდა (ვახტანგ VI-ის სასახლე, რომელიც თურქებმა დაანგრეს, ბატონიშვილების, დედოფლების სასახლეები). ამავე მხარეს მდებარეობდა სასახლის ტერიტორიაზე შესასვლელი კარი-

ბჭე. „მას გარს არტყია დუქნები და ბოლოვდება გრძელი ბაზრით, რომელიც სასახლის კარიბჭის პირდაპირაა“, ეს შარდენის მოწმობაა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეფის სასახლეს. „სასახლე უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენიერებაა. მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებზეც მღვანარესა და სასახლის უზარმაზარ ბალებს გადასცქერიან. აქვეა ყაუშხანები, რომლებშიაც მრავალი სხვადასხვანაირი ფრინველია, მწვეარ-მეძებრების დიდი სადგომი და ისეთი მშვენიერი საბაზიერო, უკეთესს რომ ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი“².

თბილისის ხედის ნახატზე, რომელიც თან ახლავს ჟან შარდენის „მოგზაურობას“ და რომელიც, ალბათ, მის თანმებლები მხატვრის გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული, მტკვრისკენ მოქცეულ მოედნის აღმოსავლეთ მხარზე ქონგურებით დაგვირგვინებული საყრდენი კედელია ნაჩვენები. კედელს ორი სახლი ეკვრის. ნახატი 1672 წლის სექტემბერსა და 1673 წლის თებერვალს შორისაა შესრულებული. ერთ-ერთი ამ სახლთაგანი (თუ კი გრელოს ზუსტად აქვს სიტუაცია ასახული) ამ დროს მეითრიშვილების საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. მამისა ბერქნიშვილს მიკვლეული აქვს 1659 წლით დათარიღებული ნასყიდობის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროს ქალაქის მოურავს მანუშარ მეითრიშვილს სახლი გამოუსყიდია სომხითის მელიქ ათაბეგისაგან. სახლის აღგილმდებარეობის დადგენის საშუალებას იძლევა ნასყიდობის წიგნი ნახსენები მიჯნები. სახლის ერთი ფასადი მტკვრისკენ ყოფილა მოქცეული, მეორე კი — ბატონის მოედნისკენ. ერთი გვერდი (ჩრდილოეთის) ჩარხის აბანოსკენ გადიოდა, საპირისპირო გვერდი კი, სადაც სახლში შესასვლელი კარი იყო, ბატონიშვილის ლუარსაბის ალაყაფისკენ ყოფილა მიმართული. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ მოედნის აღმოსავლეთ მხარეს ჰექტადენენ მეითრიშვილებისა და ბატონიშვილის სახლები. მეითრიშვილები აქ სახლობენ XVIII საუკუნის 60-იან წლებშიც³.

მოედნის დასავლეთი მხარე დუქნების რიგს ეკავა, სადაც სამხედრო საქურვლითა და იარაღით ვაჭრობდნენ. ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წლის გეგმაზე № 15-ით ამ ადგილზე ნაჩვენებია „მეჩახმახეთა და ზეინკალთა“ დუქნები. დუქნების რიგის უკან ვრცელი საცხოვრებელი კვარტალი იყო განლაგებული, რომელიც დღევანდელი ხალაუბნის, ლესელიძის ქუჩებს, ერეკლეს მოედნის სამკუთხა ნაწილის და საქარხნო კორპუსს შორის ვრცელდებოდა. სამეფო სახლის ბატონის მოედანთან გადმოტანის შემდეგ ამ უბანში, ალექსანდრე პიშჩევიჩის დღევანდელი შავთელის ქუჩის სწვრივად, თავს იყრის ქართული არისტოკრატია. უბნის დიდი ნაწილი თანდათან ორბელიანებმა შეიძინეს. ორბელიანების ჩამოსახლება აქ იწყება 1704 წელს. მამისა ბერქნიშვილს მოჰყავს ცნობა თეიმურაზ II-ის მიერ გამოსყიდული სახლის ორბელიანზე გათხოვილ თავის ქალიშვილ ანასათვის მზითვად გატანის შესახებ (1745 წელი). „წინა კედელი მეიდნის დუქნებისაკენ არის და კარიც იქით აქვს“⁴.

ჟან შარდენის მიერ ნახსენები „გრძელი ბაზარი“, რომელიც „სასახლის პირდაპირაა“, მოედნის სამხრეთი მხარის შუა ადგილზე ამოყვანილი თაღით იწყებოდა. ეს თაღი მკაფიოდ ჩანს ნახატზე, რომელიც მისივე „მო-

გზაურობას“ ახლავს. „ვრძელი ბაზარი“ თბილისის ერთ-ერთი საკვაჭო-სახელოსნო რიგთავანია, რომელსაც ქართული საბუთები „რისტაბაზარი“ უწოდებენ („რისტაბაზარი“ საარსული სიტყვაა და გუფრანდელის ერთ საზნე გახლავებულ სავაჭროებს, მოედამზე თავმოყრილ დუქნებისგან — „ხოდასავაზ“ გათხვევით). თალი ევითკირთი იყო ამოყვანილი როსტოსი მიერ აფენიულ შეხეთსა და ხალაო-ხანის შორის. ამ ადგილს პლატონ იოსელიანი ასე აღწერს:

«На том месте, где ныне церковный двухэтажный дом, была построена мечеть для царей-магометан, устами но не сердцем исповедывавших ислаимизм. Но другой стороне возвышалось здание под названием Тагарахана (ხალარა-ხანა) для хора царских военных музыкантов, со всеми принадлежностями азиатского оркестра. Между тем и другим перекинута была арка для ворот, запиравших ночью ход через площадь царскую в базар или улицу Сионскую».

აუღლია ორთელიანის ცხოვით, ხალაო-ხანაზე „დაუკრამდენ დილას, საღამოსა დაფდაფებსა და ქოსხალარასა“. მოედნის სამხრეთი შიარის გახსაზღვრა შეხეთით, ხალარა-ხანით და მათ შორის თალში მოქცეული კარიბჭით ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ დაგვეხარება იატონის მოედნის საზღვრების დადგენაში.

თუკი თათრის მოედანი ძირითადად სავაჭრო ფუნქციებს ასრულებდა, ბატონის მოედანი ერთგვარ ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ყოფილა მეფის ხელქვეითთა სახეიმო შესაკრეველიც. მოედანი ვრცელი იყო და, შარდების თქმით, ათასამდე ცხენოსანს იტევდა.

ალა-მამამად-ხანის შემოსევას თბილისის დიდი ნაწილი ემსხვერპლა და მაინც ყველაზე მეტად ბატონის მოედანი და მის გარშემო მდებარე უბნები დაზარალდა. შინასთან გაასწორეს ქართველ მეფეთა სასახლის კომპლექსი და მოედანს მიკედლებული განაშენიანება, ნანგრევებად აქციეს რასტაბაზარის დიდი ნაწილი, მოედნის დასავლეთით ორბელიანების უბანი, ზარბაზნების ჩამოსასხმელი საწარმო აწინდელ ერეკლეს მოედნის დასავლეთ მხარეზე, საცხოვრებელი უბანი, რომელსაც ერეკლეს მოედნის ტერიტორია ეკავა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში (სპარსელების შემოსევიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ!) ამ ადგილებს იმდროინდელ საბუთებში იხსენიებენ როგორც „Пустопорожное домовое место“. „გვეგმარების თვალსაზრისით, კალას არც ერთი უბანი ისე არ გარდაქმნილა მე-XIX საუკუნეში, როგორც ყოფილი ბატონის მოედანი და მიმდებარე ტერიტორია. ამის მიზეზი სწორედ ის გარემოება იყო, რომ ეს ადგილი მთლიანად გაპარტახებული აღმოჩნდა და აზრი აღარ ჰქონდა დაგვეგმარების ძველი ქსელის შემონახვას როგორც ეს სხვა უბნებში ხდებოდა, სადაც ახალ მშენებლობას ძველი საძირკვლების გამოყენებით აწარმოებდნენ, (ამ გარემოებამ შემოგვინახა კალას უდიდეს ნაწილში ფეოდალური ხანის დაგვეგმარება).


პუბლიცისტიკურ ნაწარმოებებში და ზოგჯერ ისტორიულ ნარკვევებშიც თბილისის ბატონის მოედანს აიგივებენ ხოლმე დღევანდელ ერეკლეს მოედანთან, რაც სწორი არ არის. ამასთან, ყოფილი ბატონის მოედნის ადგილის აღრევა შეცდომებს იწვევს მიმდებარე ნაწილების ლოკალიზაციის

გდის დროსაც, როდესაც ამოსავალ პოზიციად ბატონის მოედანს მივიჩნევთ. ბატონის მოედნის და ანინდოლი ერკლეს მოედნის გაიგივების სისწორეში ასივე ეჭვი შიიგანა დოცენტმა თინათინ ჩიჩუამ თავის საკანდიდატო დისერტაციაში.¹ წერილობითი ნყაროების განხილვამ, მასალის ანალიზმა, უპირატესად კი ერთ მასშტაბში შესრულებული ფეოდალური ხანის და თანამედროვე თბილისის გეგმების შეთავსებამ, საშუალება მოგვცა დაგვიდგინა ბატონის მოედნის ადგილმდებარეობა და ზომები. ყოფილი ბატონის მოედნის ტერიტორია დღეს სახელოსნო სასწავლებლისა და ქარხნის კორპუსებს უკავია და იგი პრაქტიკულად აღარ არსებობს.

თბილისის ქუჩების ქსელის, მოედნებისა და ცალკეული ნაგებობების ლოკალიზაციის მიზნით ჩვენ თბილისის 1800 წლის გეგმა გადმოვიყვანეთ თანამედროვე მეტროლ სისტემაში (1:2000) და შემდეგ იგი შევუთავსეთ (დავადეთ) ასიითივე მასშტაბში შესრულებულ თბილისის ამ ნაწილის თანამედროვე გეგმას. ჩატარებულმა სამუშაომ საშუალება მოგვცა მიგვითქვინოდა წარმოგვიდგინა ფეოდალური ქალაქის სტრუქტურა თანამედროვე ქალაქის ფონზე; გამოავლინა თუ სად შემორჩა შუასაუკუნეობრივი ქუჩების ქსელი; დაგვიდგინა ან გამჭრალი ნაგებობების ათავსება მათი ადგილები, რასაც შეიძლო დახმარება გაეწია სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას, რომლის დროსაც შესაძლებელია ნაგებობები მიწის ზედაპირიდან ალაგვოლ შენობათა ნაშთებს (საძირკვლებს, სარდაბებს) კომბინირებულმა გეგმამ მოიცვა მთელი ფეოდალური ხანის ქალაქი გარეუბნების ჩათვლით და, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მის ცენტრს და კერძოდ — ბატონის მოედანს.

რატომ ავირჩიეთ მაინცდამაინც თბილისის 1800 წლის გეგმა და არა რომელიმე სხვა?

პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შესრულებული თბილისის 1800 წლის გეგმა ტოპოგრაფიული კვლევის ნესით და მასშტაბში შესრულებით პირველია თბილისის გეგმათა შორის და ადრე შედგენილ გეგმებთან შედარებით გაცილებით ზუსტია.²) მართალია, ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ შედგენილი გეგმა უფრო ადრინდელია (1785 წ.), მაგრამ მას აკლია სიზუსტე, რაც ჩვენ მიერ მიღებული მეთოდისათვის მის გამოყენებას გამორიცხავდა. კერძოდ, გეგმაზე არ არის დაცული მასშტაბი, ზოგიერთი შენობის ადგილი მიახლოებით არის მითითებული, სწამდვილეს არ შეესაბამება მანძილობი შენობათა შორის და სხვა პარამეტრები. რატომ უნდა, პიშჩევიჩის გეგმას მიტად დიდი მნიშვნელობა აქვს გვიანფეოდალური ხანის თბილისის შესასწავლად, მაგრამ თანამედროვე გეგმასთან შესათავსებლად იგი არ გამოდგება. ამ მხრივ ჩუიკოს მიერ შედგენილი გეგმა თითქმის უნაკლოა. მის სიზუსტეში დავრწმუნდებით შემორჩენილ შენობათა შორის მანძილების შედარებით (ვთქვათ, სიონსა და ანჩისხატს, სიონსა და ციხის დიდი ეკლესიის, სიონსა და წმ. გიორგის ეკლესიას შორის და ა. შ.), ჩვენამდე მოღწეული ქუჩების, გასასვლელების გაბარიტებისა და ტრასირების შეთავსებით. თბილისის 1800 წლის გეგმა ასახავს გვიანფეოდალური ხანის გეგმარებით სტრუქტურას, რადგან 1795 წლის შემოსევის შემდეგ 1800 წლამდე თბი-




ნახ. 1. ბატონის მოედნის გეგმარებას სქემა 1800 წლის გეგმის მიხედვით. 1. ცხ. გიორგის ეკლესია. 2. დუბისშობის ეკლესია. 3. მეჩეთი. 4. ზეინკლების და შერამბახეთა რიგები.

Рис. 1. Схема планировки Царской площади по плану 1800 года. 1. Церковь св. Георгия. 2. Церковь Богоматери. 3. Медресе. 4. Ремесленные ряды кузнецов и оружейников.

ლისში პრაქტიკულად მშენებლობა არ წარმოებდა. მეტიც, ცნობილია რომ ნანგრევებმა მრავალ ადგილზე გასული საუკუნის 20-იან წლებამდეც კი მოაღწიეს. ჩუიკო ზუსტად მიანიშნებს დანგრეული უბნების კონტურებს შემორჩენილი ფრაგმენტებისა და საძირკვლების მიხედვით და ფერით გამოყოფს მათ. ეს კი შემოსევამდე არსებული თბილისის გეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა. ეს გარემოება ხდის ჩუიკოს გეგმას ძვირფას მასალად ქალაქის უბნების, შენობების, ფორტიფიკაციული ნაგებობების საზღვრების დადგენის საქმეში. გეგმის ანალიზი და მისი შედარება ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის რუკასთან გვარწმუნებს, რომ ქალაქის ძირითადი სტრუქტურა საუკუნის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა (გამონაკლისს შეადგენს საციხო კედლების სისტემები მდინარის ორთავ ნაპირზე და ზოგიერთი სხვა ფრაგმენტები).

1800 წლის გეგმიდან ჩანს, რომ სპარსელებს მთლიანად დაუნგრევიათ ვრცელი ტერიტორია ბატონის მოედნის ირგვლივ, სასახლის კომპლექსის ჩათვლით. ძლიერი ნგრევის ზონა მოქცეულია აწინდელ ლესელიძის და



ნახ. 2. ბატონის მოედნის ლოკალიზაცია თანამედროვე სქემაზე. პუნქტირით აღნიშნულია 1800 წლის გეგმის კონტურები. 1 წმ. გიორგის ეკლესია, 2. თეატრალური მუზეუმი, 3. ადმინისტრაციული შენობა, 4. საცხოვრებელი სახლი.

Рис. 2. Локализация Царской площади на современной планировочной схеме. Пунктиром обозначены контуры плана 1800 года. 1. Церковь св. Георгия, 2. Театральный музей, 3. Административное здание, 4. Жилой дом.

ერეკლეს ქუჩების შესაყარიდან ლესელიძის ქუჩის მონაკვეთსა და ჩახრუხაძის ქუჩის ზედა ნახევარს შორის სანაპირომდე. ინტენსიური ნგრევის ზონაშია მოქცეული ყოფილი ბატონის და თანამედროვე ერეკლეს მოედნების ტერიტორია.

ჩუიკოს გეგმაზე ბატონის მოედანი კვადრატთან მიახლოებულ მართკუთხედს წარმოადგენს (დაახლოებით 60 მ.×70 მ). მართკუთხედის გრძივი ღერძი მტკვრის პარალელურია (ნახ. 1), მოედანს ჩრდილოეთიდან საზღვრავს სასახლის კომპლექსის კორპუსი. დასავლეთიდან დუქნების რიგები ნაჩვენებია, რომლის უკან საცხოვრებელი უბანია. ასევე მოშენებულია მოედნის აღმოსავლეთი, მდინარისაკენ მოქცეული მხარე. ამ მხარეზევა ნაჩვენებია ეკლესია. იგი მოხსენიებული არ არის ექსპლიკაციაში. შესაძლებელია ეს ის ნათლისმცემლის ეკლესიაა, რომელსაც ალექსანდრე პიშჩევიჩი აჩვენებს 1785 წლის გეგმაზე № 13-ით. რაც შეეხება სამხრეთ მხარეს, იგი შუაზეა გაკვეთილი რასტაბაზრის დასაწყისით (შარდენისეული „გრძელი ბაზარი“), მაგრამ მოედნის მოშენების ამ მხარის განხილვისას ერთ

წინააღმდეგობას ვაწყდებით. ზემოთ აღინიშნა, რომ რასტაბაზრის დასაწყისში მოწყობილი იყო კარიბჭე როსტომისეულ მეჩეთსა და წალარა-ხანას შორის ამოყვანილ თაღში. ეს დასტურდება წერილობით წყაროებში, თალი ნაჩვენებია შარდენისეულ თბილისის ხედის ჩანახატზე. (თვით მეჩეთი შარდენს ნაჩვენები არა აქვს. უფრო მეტიც, იგი წერს, რომ თითქოს იმდროინდელ თბილისში საერთოდ არ იყო მეჩეთი, ეს აშკარა შეცდომაა, რადგან XVII ს. რამდენიმე მეჩეთი იყო, თუნდაც მეჩეთი მეტეხის ხიდთან, რომელმაც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე მოაღწია). მეჩეთი, რასტაბაზრის და მოედნის კუთხეზე დატანილია № 16-ით პიშჩევიჩის გეგმაზე. ეს მეჩეთი მითითებულია ჩოიკოს გეგმაზეც, მაგრამ იგი მოედანზე კი არ დგას, არამედ დაახლოებით 24 მეტრით ჩანებულია რასტაბაზრის სიღრმეში. გეგმის შემდგენელის შეცდომაა? არა მგონია, რადგან ზუსტად ასეთივე ადგილმდებარეობა აქვს მეჩეთს თბილისის 1802 წლის გეგმაზეც. რჩება, ჩემი აზრით, ერთადერთი ვარაუდი, რომ მოედანი 1785 და 1800 წლებს შორის შეიწიროდა სამხრეთის მინაშენებით და ამის გამო მეჩეთი რასტაბაზრის აღმოსავლეთი მხარის განაშენიანებაში აღმოჩნდა. ამ ვარაუდის დამამტკიცებელი რაიმე სხვა საბუთი ამჟამად არ მოგვეპოვება.

ჩოიკოს გეგმის მიხედვით ბატონის მოედანზე რამდენიმე ქუჩა შემოდიოდა ერთი მათგანი უკვე ნახსენები რასტაბაზარია. მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იწყებოდა ვიწრო ქუჩა — მცირე ლილახანა (ლილახანა თათრის მოედნის სიახლოვესაც იყო. იგი აწინდელ სამღებრო ქუჩას შეესატყვისება). ლილახანა შუაბაზარზე (აწინდელ ლესელიძის ქუჩაზე) გადიოდა. მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე იწყებოდა რთული კონფიგურაციის მქონე თოფხანის ქუჩა, რომელიც ასევე შუაბაზარზე გადიოდა. მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ნაჩვენებია ვიწრო გასასვლელი მტკვარზე.

1800 წლის და თანამედროვე გეგმების შეთავსებამ ბატონის მოედნის ლოკალიზაციის თვალსაზრისით შემდეგი სურათი მოგვცა. მოედნის სამხრეთი მხარე გადიოდა იქ, სადაც დღეს იწყება ერეკლეს ქუჩის ძირითადი, სანაპიროს პარალელური მონაკვეთი, ქარხნის კორპუსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან (ნახ. 2) მოპირდაპირე ჩრდილოეთის მხარე ზუსტად პარალელური იყო და გადიოდა აწინდელი ივანიძის ქუჩის ერეკლეს მოედნის სამკუთხა ნანილთან შერწყმის ადგილზე (1800 წლის გეგმაზე ივანიძის ქუჩა არ არსებობს). ხაზი გასდევდა იმ კორპუსის პირს, სადაც ახლა საცხოვრებელი სახლია (იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ამჟამად მშენებლობა წარმოებს დანგრეული სახლების ადგილას). ამ ხაზზე იდგა მეფის სასახლის კორპუსი, რომელშიაც გაჭრილი იყო სასახლის ტერიტორიაზე შესასვლელი. ამგვარად დგინდება მოედნის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები, რომელთა შორის მანძილი 70 მეტრს აღწევდა. პრაქტიკულად უკვე მივანიშნეთ დასავლეთის საზღვარიც. ხაზი ივანიძის ქუჩის მოედანთან შერწყმის ადგილზე იწყება და აღნიშნული მხარეების მართობულად გადის. იგი ირიბად ჰკვეთს ახლანდელ საქარხნო შენობას. რაც შეეხება მოედნის აღმოსავლეთ მხარეს, იგი დასავლეთის პარალელურია. დაშორებულია მისგან 60 მეტრით და დღევანდელი განაშენიანების სიღრმეში გადის

სანაპიროდან დაახლოებით 26 მეტრის მანძილზე. ამგვარად ყოფილი ბატონის მოედნის დიდი ნაწილი ამჟამად განაშენიანებულია. რაც შეეხება მოედანზე შემოსულ ქუჩებს, რასტაბაზარი თანხვედბა ერეკლეს ქუჩას ეკუთვნის. ლილახანა დღეს აღარ არსებობს. მისი ხაზი აწინდელ ქარხანაზე უკავია. თოფხანის ქუჩის ხაზი თანხვედბა დღევანდელ ჩალოუბნის ქუჩის მიმართულებას და არა აკოფიანის ქუჩას, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს აქვს მითითებული. ეს ცდომილება სწორედ ბატონის და ერეკლეს მოედნის გაიკივებით აიხსნება. შემდეგ თოფხანა ამჟამინდელ ერეკლეს მოედანთან ირიბად ქრის აწინდელ კუთხეზე მდგარ სახლს და მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე გადის.

აწინდელი ერეკლეს მოედანი კი XIX საუკუნემდე მოშენებული ჩანს. (სასახლის ბალები გაშენებული იყო იმ ტერიტორიაზე, რომლის ნაწილი დღეს მილიციის შენობის ეზოს უკავია). 1800 და 1802 წლების გეგმების გარდა ამასვე მოწმობს ამ ტერიტორიაზე 1956 წელს ჩატარებული გათხრების შედეგები, როდესაც ნასახლარებს მიაკვლიეს. ამჟამინდელი ერეკლეს მოედანი მთლიანად განაშენიანებით არის დაკავებული ალექსანდრე პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზეც. ასე რომ ერეკლეს მოედნის ფორმირების ფაქტი მხოლოდ XIX საუკუნეში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს ფაქტიც ჩვენს მიერ წარმოდგენილ ბატონის მოედნის ლოკალიზაციის სქემის სასარგებლოდ მეტყველებს.

ერეკლეს მოედნის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით ჩახრუხაძისა და ჩალოუბნის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობდა სპარსილების მიერ განადგურებული ზარბაზნების ჩამოსახსმელი საწარმო. 1800 წლის გეგმაზე ამ ადგილის სიახლოვეს მინიშნებულია არარეგულარული ფორმის მოედანი, რომელზედაც ერთმანეთის სიახლოვეს ორი ეკლესია იდგა: ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის (უკანასკნელმა ჩვენამდე მოაღწია გალაკეტბოლი სახით). გეგმაზე არ ჩანს შენობა იმ სახლის ადგილზე, რომელსაც რატომღაც ზოგჯერ „სვიმონის სასახლეს“ უწოდებენ (ახლა რომ თეატრალური მოზეუშია განთავსებული). იმ გარემოებას რომ ამ სახლის ადგილზე უწინ მოედანი იყო, პლატონ იოსელიანის მიერ მოთხრობილი ამბავიც მოწმობს. იგი აღნიშნავს, რომ 1764 წელს წმ. გიორგის ეკლესიას ამ მცირე მოედნის მხრიდან შენობა არა ჰქონია აფარებული და რომ ყუმბარა, რომელიც ციხიდან უსერიათ ეკლესიის სამხრეთ კედელს მოხვედრია. ზოგიერთი ცნობით, თითქოს წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ მხარეზე ალა-მაჰმადხანის შემოსევის შემდეგ გიორგი მეთორმეტეს აუგია დროებითი ადგილ-სამყოფელი (საერთოდ მეფე გიორგის სახლის თაობაზე წერილობით წყაროებში სხვადასხვა ადგილებია მითითებული). მეფის გარდაცვალების შემდეგ აქ ერთხანს უცხოვრია მის მეუღლეს — დედოფალ მარიაჰს, სანამ რუსეთში გაემგზავრებოდა და შემდგომ ამისა სახლს რუსი ოფიცერი დაპატრონებია. ასეა თუ ისე, 1840 წელს ხაზინას ეს ადგილი კერძო პირისათვის, ვინმე სალამბეგოვისათვის მიუყიდია. მან ააშენა ის ორსართულიანი სახლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იმ ფაქტს რომ სახლი ამ დროს არის აშენებული მისი სტილისტური მონაცემებიც მოწმობს.

XIX საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ მოედანს თავდაპირველად ეპ-

ზარქოსის მოედანი ერქვა. რის შემდეგ მან რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება.

ახლანდელი ერეკლეს მოედნის განაპირა დასავლეთ ადგილზე ზარპაზნების სანარმოს დანგრევის შემდეგ მცირე მოედანი წარმოიქმნა, სადაც იკრიბებოდნენ თავადაზნაურები და ქვეყნის ამბებზე საუბრობდნენ. ამიტომ ამ ადგილს XIX საუკუნეში „სალაყბო“ შეარქვეს.

ბატონის მოედნის ლოკალიზაცია საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ზოგიერთი გაუგებრობა ამ უბნის გეგმარების კვლევისას, რაც თან სდევს ხოლმე ბატონის მოედნის მცდარ გაიგივებას ამჟამინდელ ერეკლეს მოედანთან.

* მეფე გიორგი მეორეშვიტისთან შეთანხმების საფუძველზე 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში შემოვიდა რუსეთის ჯარის ნაწილი — გვართა პოლკი, გენერალ-მაიორ ლაზარევის მეთაურობით. პოლკს თან აქვდა კვარტირებისტერაა ნაწილის პორუჩიკო ჩუიკო, რომელსაც დავალებული ჰქონდა თბილისისა და მისი შემოგარენის გეგმის შედგენა. გეგმის ირიგინალი დარჩენილია მოსკოვში ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში (ЦВИА Ф. ВУА № 22660), გეგმა ასევე დასათარებელი: План города Тифлиса, резиденции и царства Грузинского с описанием его частей и в них главных публичных строений. Сочинен 1800 года» გეგმას თან ახლავს ურცელი გლსპლიკაცია — «Описание главных крепостных и гражданских строений». გეგმის მასშტაბია 25 საყენი ერთ ინგლისურ დიუნში.

¹ Пл. Носелвани. Описание древностей города Тифлиса, Т. 1, 1866 г., стр. 11, 248.

² ჯან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 322.

³ შაჰისა ბერძნისშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 9, 11.

⁴ თ. ზიზუა, თბილისის ქალაქმშენებლური ტრადიციები და მათი თანამედროვე მნიშვნელობა; საკანდიდატო დისერტაცია, 1967.



პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის და ქალაქის საბჭოს ერთობლივი დადგენილებით გადაწყვეტილია თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის დედაციხის გამაგრება-აღდგენა. დადგენილება ითვალისწინებს ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას. სამუშაოება ძირითადად მიმდინარე ხუთწლედში უნდა დასრულდეს.

ძველი თბილისის არქიტექტურული გარემოცვის დომინანტი მეტეხთან ერთად სოლოლაკის ქედზე, ხერთვისზე აგებული დედაციხეა¹. იგი სამხრეთ აღმოსავლეთიდან დაცული იყო ნავისის წყლის ხეობის მაღალი ფლატეებით, ხოლო ჩრდილოეთით მდინარე მტკვარით. თუ ზოგჯერ, მაინცდამაინც ლოკალურ ადგილზე საფორტიფიკაციო ნაგებობის აღმოცენება განპირობებული იყო პოლიტიკურ-ეკონომიური და სხვა გარემოებებით, თუ სიმაგრეს ხელს არ უწყობდა ბუნებრივი პირობები (ხერთვისის მაღალი მთა, შიშვალაი ქარაფები) ხელოვნური ღრმა თხრილებით, ძნელმისადგომს ხდიდნენ ხოლმე საფორტიფიკაციო ნაგებობას.


ჯერჯერობით სრულად არ ვიცნობთ დედაციხის დეტალურ გეგმარებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენამდე მოღწეული გეგმის აბრისი საკმაოდ ძველი უნდა იყოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეული კედლებურჯების კონფიგურაციას. როგორც გამოკვეულია, ძველი თბილისის აწინდელი გეგმარება ქუჩების ქსელით ასახავს არსებითად შუასაუკუნეების თბილისის გეგმარებას. ეს თეზა აპრიორულად შეიძლება გავრცელდეს თბილისის დედაციხის ზღუდეზეც.

საქართველოში აგებულ სხვა მრავალ ციხეთა მსგავსად განსახილავი ობიექტიც ბუნებრივ ტერასებზე ყოფილა გაშენებული, (იხ. სქემა). არსებული რელიეფი მარჯვედ გამოუყენებიათ საფორტიფიკაციო სისტემის შესაქმნელად. ბატონიშვილი ვახუშტი დედაციხის პირველ ტერასზე ნაგებ სიმაგრეს უწოდებს ზედაციხეს, ხოლო მომდევნო, უფრო მაღლაარსებულს მაღალ ციხეს. მაღალი ციხის უდიდეს და უმაღლეს კოშკს სტამბოლის კოშკს². ზედა ციხე ფართობით სჭარბობს მაღალ ციხეს. ისინი ურთიერთისაგან კედლით ყოფილა გამოიჯნული. მათ შორის ვერტიკალურ დონეთა სხვაობა კი საშუალოდ 12-12 მეტრია.

უკანასკნელად 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის ვანდალურ ბრძოებს დაუხვდა თბილისი და თბილისის ციხე; რუსეთთან შეერთებამ დაუდო ბოლო თურქ-ოსმალთა და ირანელთა შემოტევებს საქართველოზე 1801 წელს და ამიერიდან საქართველოს სხვა ციხეთა მსგავსად, თბილისის ციხეც თანდათანობით ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. იგი თითქოს მიტოვებულიცაა.

უკანასკნელი შემოსევის შედეგად, ნანგრევებად დახვავებული შენობების ნაშთები დროთა ვითარებაში გაიშალა და გაიფანტა, ხოლო ციხის

മുഹമ്മദീയ സമൂഹം
::: ൨൦൦൦ :::




പ്രസിദ്ധീകരിച്ചത്: ൧൯൭൩


പ്രസിദ്ധീകരിച്ച സ്ഥലം: കോഴിക്കോട്

൧൯൭൩

൧൯൭൩







კედელ-ბურჯებმა დღემდე თავისივე ნანგრევების საყრდენი კედლის ტვირთი იტვირთა. ახლა, როცა ზედა ან მალალ ციხეში ედგავართ ზღუდის კედლებს ვერც კი აღვიქვამთ. „ინტერიერი“ ამოვსებულია ქვალორლით.

თბილისის დედაციხის კედელ-ბურჯებზე თვალსაჩინოდ იკითხება სამშენებლო ფენების ჭრელი სურათი. მრავალფეროვანია მოხმარებული სამშენებლო მასალების, „ასორტიმენტიც“, საშენ მასალად გამოყენებული კლდის უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ჯიშის ქვა, ქვის თლილი კვადრები, ე. წ. ქართული კვადრატული აგური უმცირესი გაბარიტებით დაწყებული და დამთავრებული გიგანტური ზომებით (30 X 30 X 4, 5 სმ.). კედელ-ბურჯების წყობაში შეინიშნება ორნამენტული და წარწერიანი ქვები, რომლებიც მშენებელთ (თუ მეტჯერ არა) მეორედ გამოყენებით რიგით სამშენებლო ქვებად. შემაკავშირებელი მასალა ძირითადად კირია სრულიად სხვადასხვა სტრუქტურის ინერტული მასალით. არაერთგანაა დადასტურებული კედლის წყობა სხვადასხვა სიმტკიცის გაჯის ხსნარზეც. ამრიგად ვფიქრობთ, იშვიათია საქართველოში ციხესიმაგრე უამრავი ნგრევა, გადაკეთება-შეკეთებით, რომ ასეთი უაღრესად მრავალფენიანი ხუროთმოძღვრული ორგანიზმი გააჩნდეს. ეს გასაგებიც ხდება თუ გავითვალისწინებთ თბილისის დედაციხის მრავალსაუკუნოვან ტრაგიკულ ისტორიას.

თბილისის დედაციხის შესახებ, სხვა ძეგლებთან შედარებით, მდიდარი იკონოგრაფიული მასალა მოგვეპოვება (გრაფიკული გამოსახულებები, მრავალრიცხოვანი გეგმები, ფოტოსურათები). ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ რა და რა შენობები ან შენობათა ნანგრევები არსებობდა ციხესიმაგრეში, რა და რა კომუნიკაციები გადიოდა იქ. 1800 და მომდევნო წლებში შესრულებულ გეგმებზე მკაფიოდ იკითხება დედაციხის კონფიგურაცია. იგი კედელ-ბურჯებით იყო შემოზღუდული მთელს პერიმეტრზე¹.




თბილისი. 1802 წ. გეგმა.

Тбилиси. План 1802 г.

1802 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე ექსპლიკაციაში მითითებულია ყველა ის ნაგებობა ან ნანგრევი, რაც იმხანად ზედა და მალალ ციხეში არსებობდა. ზედა ციხეში ნაგებობებით შექმნილი განსაკუთრებული სიმჭიდროვე ჩანს, მალალ ციხეში კი უფრო ხალვათობაა. ჩვენს ხელთ არსებულ გეგმებზე მითითებულ შენობებს გარდა, მინის სიღრმეში ცხადია რეალურად სხვა მნიშვნელოვანი ნივთიერი ძეგლებიცაა დამარხული. უძველესი ნაგებობების ნაშთები იქნებ სწორედ მალალ ციხეში იქნეს მიკვლეული, როგორც სიმავრის უადრესი ჩანასახისა.

დედაციხეზე მხოლოდ ზედა ციხეშია ნარმოებული არქეოლოგიური გათხრები. გათხრების შედეგად გამოჩნეულა მკვლევართა მიერ დაგულკებული გუმბათიანი ტაძრის ნაშთი, რომელიც გამოკვლეული და დათარიღ-



- TBISS
- | | | | |
|-----------------|-----------------|-----------------|------------------|
| 1. შიშველი მთა | 2. შიშველი მთა | 3. შიშველი მთა | 4. შიშველი მთა |
| 5. შიშველი მთა | 6. შიშველი მთა | 7. შიშველი მთა | 8. შიშველი მთა |
| 9. შიშველი მთა | 10. შიშველი მთა | 11. შიშველი მთა | 12. შიშველი მთა |
| 13. შიშველი მთა | 14. შიშველი მთა | 15. შიშველი მთა | 16. შიშველი მთა |
| 17. შიშველი მთა | 18. შიშველი მთა | 19. შიშველი მთა | 20. შიშველი მთა |
| 21. შიშველი მთა | 22. შიშველი მთა | 23. შიშველი მთა | 24. შიშველი მთა |
| 25. შიშველი მთა | 26. შიშველი მთა | 27. შიშველი მთა | 28. შიშველი მთა |
| 29. შიშველი მთა | 30. შიშველი მთა | 31. შიშველი მთა | 32. შიშველი მთა |
| 33. შიშველი მთა | 34. შიშველი მთა | 35. შიშველი მთა | 36. შიშველი მთა |
| 37. შიშველი მთა | 38. შიშველი მთა | 39. შიშველი მთა | 40. შიშველი მთა |
| 41. შიშველი მთა | 42. შიშველი მთა | 43. შიშველი მთა | 44. შიშველი მთა |
| 45. შიშველი მთა | 46. შიშველი მთა | 47. შიშველი მთა | 48. შიშველი მთა |
| 49. შიშველი მთა | 50. შიშველი მთა | 51. შიშველი მთა | 52. შიშველი მთა |
| 53. შიშველი მთა | 54. შიშველი მთა | 55. შიშველი მთა | 56. შიშველი მთა |
| 57. შიშველი მთა | 58. შიშველი მთა | 59. შიშველი მთა | 60. შიშველი მთა |
| 61. შიშველი მთა | 62. შიშველი მთა | 63. შიშველი მთა | 64. შიშველი მთა |
| 65. შიშველი მთა | 66. შიშველი მთა | 67. შიშველი მთა | 68. შიშველი მთა |
| 69. შიშველი მთა | 70. შიშველი მთა | 71. შიშველი მთა | 72. შიშველი მთა |
| 73. შიშველი მთა | 74. შიშველი მთა | 75. შიშველი მთა | 76. შიშველი მთა |
| 77. შიშველი მთა | 78. შიშველი მთა | 79. შიშველი მთა | 80. შიშველი მთა |
| 81. შიშველი მთა | 82. შიშველი მთა | 83. შიშველი მთა | 84. შიშველი მთა |
| 85. შიშველი მთა | 86. შიშველი მთა | 87. შიშველი მთა | 88. შიშველი მთა |
| 89. შიშველი მთა | 90. შიშველი მთა | 91. შიშველი მთა | 92. შიშველი მთა |
| 93. შიშველი მთა | 94. შიშველი მთა | 95. შიშველი მთა | 96. შიშველი მთა |
| 97. შიშველი მთა | 98. შიშველი მთა | 99. შიშველი მთა | 100. შიშველი მთა |

თბილისი. 1735 წ. გეგმა.

Тбилиси. План 1735 г.

ებულია XIII საუკუნის მიწურულით. სხვა ნაგებობის ნაშთები ჯერ საბოლოოდ არაა განმენდილი. მაგალითად აგურით ნაგები კამაროვანი ნაგებობების (სასახლე?) კედლები იატაკამდეა ჩანმენდილი, მაგრამ გაუთხრელობის გამო არ ვიცნობთ კედლების გარე აღნაგობას. ჯერჯერობით მთლად არ არის გამოვლენილი ის ნაგებობებიც კი, რომლებიც 1800 იანი წლების გეგმაზეა დატანილი. გამოსავლენია მიწისქვეშა საიდუმლო გასასვლელები და წყალგაყვანილობის კომუნიკაციები. მდ. წაკვისზე ჩასასვლელი გვირაბი დღესდღეობით არ ჩანს, მაგრამ გეგმის მიხედვით ლოკალიზებულია მიწისქვეშა გასასვლელის ერთი ბოლო მაინც. იგი განჯის კართან მდებარეობდა ნახიდურის სიახლოვეს. რაც შეეხება წყალმოყვანილობის სისტემას ჯერჯერობით იქნებ აუცილებელიც არ არის მთლიანად ქსელის განმენდა-გამოვლენა. წყალი კარგა მანძილიდან (3-ოდე კილომეტრის და-



თბილისი. 1802 წ. გეგმა (ფრაგმენტი).

Тбилиси. План 1802 г. (Фрагмент)

გვ. 40-41 ილუსტრაციები ის. ვ. ცინცაძე, „თბილისი“, თბ., 1958.

ცილებით) მდინარე წაეკისიდან იღებდა სათავეს, თიხის მიღებით სოლო-
ლაკის ქედზე გამოძეული გაივლიდა შაპის ტახტს, აკვედუკით შედიოდა
სტამბოლის კოშკში, ჩაედინებოდა მაღალი ციხის რეზერვუარში და აქედ-
დან ზედა ციხეში არსებული საგანგებო წყალსაცავი ივსებოდა. ეს უკანას-
კნელი კიდეც შეინიშნება მინის ზედაპირზე. იგი აგურის კამაროვანი სათა-
ვისა და კედლები მოლესილია საგანგებოდ შემზადებულ მონითალო ფერის
წყალმდევი ხსნარით. საჭიროა ეს წყალსაცავი ნაგებობა გავწმინდოთ, რო-
მელსაც სათანადოდ აღვადგენთ და პრაქტიკულად გამოვიყენებთ კიდეც.
სარესტავრაციო სამუშაოს წარმოებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დაკვეთით, სპეციალურ-სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებაში დამუშავებულ იქნა დედაციხის რესტავრაციის წინასწარი საპროექტო წინადადება. საპროექტო სამუშაოს საფუძვლად დაედო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული საარქივო და წინასწარი ნატურალური კვლევა. აუცილებელი იყო არქეოლოგიური გათხრების შედეგების გათვალისწინება (არქეოლოგები — გ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ვ. ართილაყვა, ბ. გომიაშვილი). დიდად დაგვეხმარა 1956 წელს შესრულებული არქიტექტურული განაზომები (არქიტ. გ. ჯაფარიძე, გ. ტყეშვილი, რ. ცინცაძე) პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებული იყო, რომ თბილისის დედაციხე ქალაქთმშენებლობის ძეგლია და იგი აქტიურად მუშაობს ძველი თბილისის არქიტექტურულ გარემოცვაზე. სხვადასხვა პერიოდებზე (მიახლოებით მაინც) დადგენილ იქნა დედაციხის რეტროსპექტული სურათი. ნათელია, რომ საფორტიფიკაციო ნაგებობისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ელემენტები — ქონგურები, მაშკიკულები სათოფურები, საზარბაზნები და სხვა, რაც ფუნქციის გარდა გამომსახველობასაც ანიჭებდა სათავდაცვო ნაგებობას კედელ-ბურჯების ზედა ნაწილებში მდებარეობდა. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაღწია საბრძოლო ელემენტებმა, უფრო მეტიც, XIX ს. მეორე ნახევრის შუა წლებშიც კი აღარ არსებობდა ნაგებობისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ელემენტები.

ჩვენს ხელთ არსებული XVII-XVIII-XIX საუკუნეთა იკონოგრაფიული და ლიტერატურული მასალები დიდად გვეხმარება გრაფიკულად წარმოვიდგინოთ გვიანი ფეოდალური პერიოდის თბილისის საფორტიფიკაციო სისტემა. მაგრამ საბუთები რესტავრაციისთვის არაა აუთენტიკური, იგი მეტად მწირია, ამიტომ არ იძლევა საფუძველს დავეყრდნოთ მას და მოვიმარჯვოთ ძეგლის მთლიანად აღდგენის მეთოდში. ამ მეთოდს უარყოფს ის გარემოება, რომ კედელ-ბურჯები, თუმცა ძველი გეგმის აბრისზე უნდა იყოს აღმოცენებული, მაგრამ სხვადასხვა კონფიგურაციისანი არიან და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილნი. ლოგიკურია მთლიანად აღდგენის შემთხვევაში ადრე ფეოდალური პერიოდის კედელ-ბურჯი მოითხოვს შესაბამის საბრძოლო ელემენტებს. მონიფული შუასაუკუნეებისა სათანადო საბრძოლო ელემენტებს და ა. შ. თუ ძეგლის მთლიანად აღდგენის პრინციპს მივმართავთ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ საბრძოლო ელემენტების სრული აღრევა გამოგვივა და შედეგად მივიღებთ ჩვენს მიერ აშენებულ XX საუკუნის სუროგატულ ეკლექტიკურ ციხე-სიმაგრეს, მის მაკეტს ნატურალურ ზომაში. ძეგლის ამდაგვარი მეთოდით აღდგენა XIX საუკუნის სტილისტი-რესტავრატორების მიერ დანერგილი იყო, არაერთ ძეგლზე.

სრულიად გასაგებია თბილისელების და სხვათა მიერაც არა ერთხელ გამოთქმული აზრი თბილისის დედაციხის სრული აღდგენის შესახებ. იდეა მომხიბლავია წარმოსახვაში, მაგრამ ამ დროს ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ როგორ მდგომარეობაში მიიღო XX საუკუნემ მემკვიდრეობით თბილისის დედაციხე.

ძეგლის რესტავრაციის სრულყოფილ ეფექტს მივალწვეთ მაშინ, როცა ჩვენ ნავეშეულებით და შემდეგ დამთვალეიერებელი თვითონვე წარმოადგენს აზროვნებაში დაკარგულ ელემენტებს, ვიდრე მაშინ როცა ჩვენ, შევთავაზებთ ზებთ სრულ ანალოგიურ ასლს.

სიხლიროთეჰა

თბილისის დედაციხის აღდგენის ვარიანტების დამუშავების შემდეგ მივედით დასკვნამდე — ძეგლის რესტავრაციისათვის გამოდგება ფრაგმენტალური ანუ ანალიტიკური მეთოდი.

ძეგლის კედელ-ბურჯები მთლიანად „მოთელილია“, რომელიც სხვადასხვა მონაკვეთებზე თავდაპირველ სიმაღლეს 2-3მ-საც აღარ შეადგენს, რესტავრაციით გამიზნული ერთ-ერთი ამოცანა „ციტადელის კედელ-ბურჯების აწვეა გარკვეულ სიმაღლეზე. (საშუალო დასამატებელი ნყობა 1-1, 5 მ-ის, პროექტზე დასამატებელი საკონსერვაციო შრე პირობითად ხაზითაა გამოყოფილი). ერთის მხრივ ასეთი მიდგომა უფრო ზე ასწევს არსებულ კედელ-ბურჯების პროპორციებს, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებლობა გვექმნება მხერის მრავალი ნერტილიდან სილუეტის სათანადო კომპოზიციების მიგნებისა. ვფიქრობთ დედაციხის ორი კოშკის (ზედა ციხის ოთხკუთხა და ჩრდ. დასავლეთის მრგვალ კოშკზე იხ. პროექტი) აღდგენით შევძლებთ დამთვალეიერების წარმოდგენაში გავარკვიოთ როგორი სახე ჰქონდა ციხესიმაგრის ნაწილსა და მთელს; ამავე დროს ოთხკუთხა კოშკის აღდგენით დამყარდება გარკვეული კომპოზიციური ნონანსორობა დედაციხის „ჩრდილოეთ ფასადზე“.

1900-იან წლებში ნარიყალაზე გამაგრებითი სამუშაოები უწარმოებიათ. აშკარად ჩანს, რომ მიზანი ძეგლის ფიზიკური განმტკიცება იყო. იქ სადაც კედელ-ბურჯების ქვედა ნაწილები დაშლილ-დაზიანებული ყოფილა, ნაცრისფერი უხეშად დამუშავებული ქვის ნყობით შეუვსიათ. უნდა ითქვას, რომ ამ კეთილ საქმეს ხარვეზი ახლავს — გამაგრებულ ნაწილებში არ არის დაცული კედელ-ბურჯების თავდაპირველი გაბარიტები; ნყობა ყველგან ქველის გარეთ გამოდის და არსებულ ხასიათის ნყობას არ ერწყმის, არც მასალის სახეობით და არც ფერით. ამის გამო კედელ-ბურჯებზე შექმნილია გრძივი და განიერი უწყვეტი სარტყელი, რაც ვიზუალურად ადაბლებს ჭამთა სიავისაგან ისედაც დადაბლებულ კედელ-ბურჯებს.

ზემოთ განხილულ 1900-იანი წლების ფენას მოვაცილებთ ძეგლს და სანაცვლოდ ამოყვანილი იქნება კონსტრუქციულად მტკიცე სათანადო ნყობის ხასიათისა და გაბარიტების საპირე ნყობა. ამ ღონისძიებითაც კედელ-ბურჯების პროპორციები ზე აინვეს.

აღნიშნული ღონისძიების გარდა მთელ რიგ შემთხვევებში დედაციხეზე შენარჩუნებული იქნება რემონტისა და სხვადასხვა ეპოქების მშენებლობის ფენები, რომელთაც უეჭველად გააჩნიათ (ზოგიც მომავალში შეიძენს) სხვადასხვა ღირსებები.

გარდა საკუთრივ დედაციხის კედელ-ბურჯებისა, საშუალება გვაქვს გამაგრებითი სამუშაო შევასრულოთ არქეოლოგთა მიერ გამოვლენილ გუმბათოვან ტაძარზეც. იგი თუ მეტი არა თბილისის მეტეხის ტაძრის ბადალია, ასაკითაც და ქალაქმშენებლური მნიშვნელობითაც. სპეციალისტების

მიერ მის სხვა ღირსებებთან ერთად აღიარებულია ტაძრის ეს ნაშთები ღირსებაც, იგი უფრო ქალაქისათვის აშენებული სამკაული იყო, ვიდრე შემკობილი ნაგებობა.

განზრახულია ტაძარზე საკონსერვაციო სამუშაოს შესრულება დაწყებულია სარესტავრაციო სამუშაოები და მიმდინარე ნელს უნდა დასრულდეს ბოტანიკურ ბაღში მდებარე სამსართულიანი და ორსართულიანი კოშკების აღდგენა-გამაგრება. დაწყებულია ე. წ. განჯის კართან მდებარე კოშკის განმენდითი სამუშაო და მიმდინარე ნელსვე დამთავრდება რესტავრაცია ამ კოშკზე. სათანადო ორგანოებმა დასვა საკითხი ბოტანიკურ ქუჩაზე მდებარე ორი საცხოვრებელი სახლის გამოთავისუფლების შესახებ, რათა რესტავრატორებს მიეცეთ საშუალება საცხოვრებელი სახლების ზემოთ, საფუძველშერყეული (კლდის უზარმაზარი მასივი, რომელზედაც კოშკია შედგენილი 12-15 სმ-ით მოცილებულია კლდის ძირითად მასივს) აგურის კოშკის ფიქსაცია-კონსერვაციის და კლდის გამაგრებითი სამუშაოს შესასრულებლად.

ძველთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ თბილისის დედაციხის რესტავრაციის საპროექტო წინადადებას მისცა სათანადო რეკომენდაცია. იქვე აღინიშნა, რომ განმენდითი და ზონდაფების სამუშაოების შესრულების შემდეგ ძველის ყოველ ცალკეულ მონაკვეთზე შედგება სათანადო დეტალური პროექტი და განსახილველად წარედგინება სამეცნიერო მეთოდურ საბჭოს.

¹ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თბილისში ჩამოსულ სტუმართ: ზერნეცოვს, ვაგარინს, ფრანკეს, ლიზონტოვს და სხვა. ნარიყალა-შეტეხის პანორამა ხიზლავდათ სწორედ ეს ზეღებიც აქეთ მათ ჩაბატული.

2. კოშკის ასეთი სახელი გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს. საქართველოს ისტორიის შავნელ პერიოდში XVI-XVIII სს თურქული და ირანული განიზონების თბილისის ციხეში დგომუხუფლების გამოძახილი უნდა იყოს ისეთი სახელდებები, როგორიცაა: „შახის ტახტა“, „თავრიზის კოშკი“, „განჯის კარი“ და შესაძლოა თვით „ნარიყალა“.

3. ბოტანიკური და სამღებრო ქუჩების გადაკვეთაზე, საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულებასამ გამოვლინდა ზღუდის კედლის ნაშთი (სისქით 4,6 მეტრი), რომელიც მიმართულია დედა-ციხის უძველესად მიჩნეული ოთხკუთხა კოშკისაკენ, იგი ასეთივე დიდი ქვის კვადრებითაა ნაშენი, როგორც ოთხკუთხა კოშკი.

4. ამაჟამად ზედა და ნაწილობრივი მაღალი ციხის სამხრეთ-დასავლეთის კედელ-ბურჯები კლდოვანი რელიეფის ჩამოშლის გამო დაღუპულია. კლდის დაშლა ახლაც ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს. ასეთი ვითარება მოსპობას უქადის დედაციხის და ბოტანიკური ქუჩის მარჯვენა მხარეს მდებარე ბურჯებს. კლდოვან მასივების განმტკიცების საკითხი სავანეზო მსჯელობის საყინად უნდა იქცეს.

5. ზედა და მაღალი ციხის, აგრეთვე არსებული და მოსალოდნელი არქეოლოგიური ნაგებობების გამაგრება-აღდგენა მთლიანად დამოკიდებულია სატერიტორიო სატრანსპორტო საშუალებაზე, სამშენებლო მასალების ასაზიდად. ამ უკანასკნელ მუშაობაზეა დამოკიდებული არქეოლოგიური გათხრებიც.

სიონის ტაძრის მოხატულობა XIX საუკუნის შუა წლებში

თბილისის სიონის ტაძარი ალბათ იმდენჯერ დანგრეულა, რამდენჯერაც თ-ით საქართველოს დედაქალაქი.

ტაძრის აღდგენისა და შეკეთების შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები XIII ს, ხოლო მოგვიანებით უკვე 1657 წელს გვხვდება. როგორც ხსენებულ წყაროებიდან ირკვევა, ხვარაზმელთა ურდოების შემოსევის შემდეგ, ხელმეორედ აუშენებიათ გუმბათი და მოუხატიათ თალები და კარიბჭე.

1672-1673 წწ. ფრანგი მოგზაური შარდენი აღნიშნავდა, რომ ტაძრის შიდა ხედს ალამაზებს „ბერძნული სტილის“ სიბრტყობრივი ფერწერა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ არის შესრულებული. 1710 წელს სიონის ტაძარი ხელახლად იქნა აღდგენილი. როცა ფრანგი მოგზაური ტურნეფორი წერდა, რომ თბილისში ხატავენ ფრესკებს ჩვეულებრივი წესით, სველი გაჯით და ეს ქმნის სასიამოვნო შთაბეჭდილებას, მას უდაოდ, მხედველობაში ჰქონდა სიონის კედლის მოხატულობა.

დრომ არ შემოინახა ამ მოხატულობის ავტორთა სახელები, თუმცა შესაძლებელია ერთ-ერთი მათგანი, ვინმე გიორგი იყო „სიონის ტაძრის დიდი ოსტატი“. რომელიც ცხოვრობდა თბილისში XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, საზოგადოებრივი მეცნიერების, ხელოვნებისა და წიგნის ბეჭდვის აყვავების ეპოქაში.

კედლის მოხატულობა, რომელსაც იხსენიებს ფრანგი მოგზაური შარდენი, აღდგენილ იყო 1803-04 წლებში. მხედართმთავარ თავად ციციანოვის მითითებით მოიხატა კედლები და კამარა, რომელიც დაზიანებული იყო 1795 წელს ალა-მაჰმად ხანის ჯარების მიერ თბილისის გადანვისას.

XIX ს. პირველ ნახევარში სიონის ტაძარი აღადგინეს ორჯერ: 1825 წელს და 1837 წელს¹. ფერწერული და სამღებრო სამუშაოები შესრულებული იყო თბილისელი ფერმწერის მიკირტუმ ოვნათანიანის მიერ თბილისელ სხვა ფერმწერლებთან², თანაშემწეებთან³, და მონაფეებთან ერთად.

1825 წელს აღდგენილი იყო ტაძრის მარცხენა მხარის თაღის მოხატულობა, ხოლო 12 წლის შემდეგ მიკირტუმ ოვნათანიანს დაევალა დიდი სამუშაოების ჩატარება, რომელშიც შედიოდა მთელი ტაძრის ფერწერული და სამღებრო სამუშაოები. შეიღება კარები, სვეტები, მოხატულ იქნა ახალი ხატები აღსავლისა და მცირე კარიბჭესთან, ასევე გასუფთავდა და რესტავირებულ იქნა ადრინდელი ფერწერა.

XIX ს. მეორე ნახევრის მიწურულს ხელახლა დაისვა საკითხი სიონის ტაძრის შიდა კაპიტალური რემონტისა და მთლიანად აღდგენის შესახებ. წარმოდგენილ წერილში მოცემულია ახალი ცნობები, რომლებიც ეხება ამ საკითხს, ასევე გ. გაგარინის შემოქმედებით მოღვაწეობას სიონში.

გრიგოლ გაგარინის მოღვაწეობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა XIX ს. რუსულ ხელოვნებაში, განუყოფელია იმ დროის ქართული კულტურის მრავალი მოვლენისაგან. როგორც ცნობილია, მხატვრის შემოქმედება კავკასიაში ყოფნის პერიოდში დიდი ნაყოფიერებით ხასიათდება. კავკასიაში გ. გაგარინი პირველად იმყოფებოდა 1840 წლიდან 1843 წლამდე; ცხოვრობდა თბილისში, დაუახლოვდა პოეტ ალ. ჭავჭავაძის ოჯახს. (შესრულებული ჰქონდა მისი ვაჭიშვილის — დავითის და მაიკო ორბელიანის პორტრეტები და სხვა).

1848 წელს გ. გაგარინი კვლავ ჩამოდის თბილისში და რჩება 1850 წლამდე. მან თავის შემოქმედებაში აღბეჭდა თბილისის ყოფა და უძველესი არქიტექტურა. იმავე დროს მხატვარი აფორმებს თბილისის სახაზინო თეატრს და ასრულებს თეატრალური ფარდის მოხატულობას — რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის თემაზე.

1850-იან წლებში გ. გაგარინი მუშაოებს სიონის ტაძრის კედლის ფერწერის შექმნაზე და იკონოსტასის აღდგენაზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდში დაცულია „საქმე თბილისის სიონის კათედრალური ტაძრის ფერწერის შესწორების შესახებ“, რომელიც დათარიღებულია 1851 წლის 4 ოქტომბრით¹. „საქმეში“, ინახება წერილი თავად ვორონცოვისაგან საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს სახელზე, რომელიც შეიცავს მოსაზრებას, რომ მიანდონ სამუშაოები ცნობილ მხატვარ გ. გაგარინს“, 1852 წლის მარტში უკვე მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები. აგებდნენ ზის ხარაჩოებს, მოსამზადებელი სამუშაოები მდგომარეობდა იმაშიც, რომ ტაძრის შიდა კედლებიდან მოეხსნათ ძველი ნაღესობა და შეეღესათ ახალი, უკეთესი ხარისხის სოღანლულის გაჯით. ამავე დროს, მხატვარი მიუწვდებოდა იწერდა 350 მან. ვერცხლის ღირებულების აუცილებელ მასალას — ქალაღდს, მუყაოს, ფანქრებს, ფუნჯებს და მთელი წლის სამყოფ საღებავებს, ხოლო მოსკოვიდან — 500 მანეთის ვერცხლის ღირებულების ოქროს ფურცლებს და სხვა მასალას.

სიონის ტაძრის მოხატულობის რესტავრაციის საარქივო დოკუმენტებში, მიმონწერაში, ხარჯთაღრიცხვაში და ხარჯების წიგნში მოხსენებულია მიხეილ ტროშჩინსკის სახელი.

მიხეილ ნიკიფორეს ძე ტროშჩინსკი დაიბადა 1819 წელს კრემენჩუგში მხატვრის წოდება მიიღო 1855 წელს 36 წლის ასაკში (სიონში სამუშაოების დროს).

უნდა ვიფიქროთ, რომ გ. გაგარინი არ მიიწვევდა უნიჭო და არაკეთილსინდისიერ მხატვარს. მ. ტროშჩინსკის ღირსებაში გ. გაგარინს შეეძლო დარწმუნებულიყო მასთან პირველი ერთობლივი მუშაობისას 1850-1852 წ. წ. თბილისის სახაზინო თეატრის მხატვრულად გაფორმების დროს.

მ. ტროშჩინსკის კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის მიერ დავალებული ჰქონდა თეატრისა და ფოიეს მოხატვა, გაგარინის ესკიზების მიხედვით. აღნიშნულ სამუშაოს შესასრულებლად მან მიიღო 5.300 მანეთი.

ხელშეკრულების მიხედვით მას უნდა მოეხატა გუმბათი „ძველი ბიზა-

ნტიური სტილით“, გ. გაგარინის ესკიზებითა და მითითებით (სად და რომელი გამოსახულება და ორნამენტი მოეთავსებინა, როგორი უნდა ყოფილიყო ფონი და რომელი გამოსახულება დაეფარა ოქროთი).

მ.ტროშჩინსკიმ დაიქირავა „ნიჭიერი დამხმარეები“, რომელთა მიერ შესრულებულ სამუშაოსთვის ხელფასის გადახდას ანდობდნენ მასვე.

ტაძარში მუშაობა მიმდინარეობდა ჩქარი ტემპით, ყოველდღიურად სადღესასწაულო დღეების ჩათვლით. 1852 წლის ილისში თითქმის ყველა კედელი შელესილი იყო და სულ მალე მ. ტროშჩინსკი თავის დამხმარეებთან და ფერწერის საქმის ოსტატებთან ერთად, გუმბათის მოხატვას შეუდგა.

სიონის ტაძრის სამუშაოებს, ხარაჩოების მოწყობის ჩათვლით, მეთვალყურეობას უწევდნენ ნ. ვორონცოვი, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი გრაფი კრონგელი და არქიტექტორი ანტონ ფონ ბრაუნმილი, რომლებმაც 1854 წლის 3 მარტს სიონის ტაძრის აღმდგენელ კომიტეტს მოახსენეს გ. გაგარინის სურათების მიხედვით აღგეთვის ქვით ორი გვერდითა კიოტის აღდგენის (გარდამოხსნისა და ადგილობრივი ხატისთვის), ახალი ქორების აგებისა და (გ. გაგარინის სურათებისა და მითითებების მიხედვით) სხვა სამუშაოს შესრულების შესახებ.

სიონის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დიდხანს იპყრობდა ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღებას; „თბილისში მცხოვრები მცირერიცხოვანი მხატვრები აღტაცებით ადევნებდნენ თვალს სამუშაოს შესრულების სწრაფ მიმდინარეობას“.

ტაძრის აღდგენით დაინტერესებული იყო მეფის ოჯახობაც. საარქივო დოკუმენტებში ინახება გ. გაგარინის 1855 წლის 17 იანვრით დათარიღებული წერილი საქართველოს ეგზარქოს ისიდორესადმი, რომელშიც იგი ატყობინებს, რომ „დიდმა მთავრებმა ცესარევიჩმა და კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ მკითხეს რა ჩემი მუშაობის შესახებ, თვითონვე შენიშნეს, რომ აუცილებელია ერთ იარუსიანი კანკელის (და არა იკონოსტასი — ი. ძ.) გაკეთება პირველი საუკუნის ქრისტიანული უძველესი ეკლესიების თანახმად. მე გამიკვირდა მათი განსწავლულობა ამ საქმეში, რომელიც ცნობილია მხოლოდ არქეოლოგებისა და მხატვრებისათვის, რომლებიც სწავლობენ სიძველეს“. დიდი მთავრები დაპირებიან მხატვარს თავის მხარდაჭერას ხელმწიფე იმპერატორთან და „მართლაც, წერს შემდეგ გ. გაგარინი, — ხელმწიფე-იმპერატორმა ინება თვითონ ეთქვა ჩემთვის, რომ მან ეს კანკელი მოიწონა, ვინაიდან, თუ მთელი ტაძარი ბიზანტიურ გემოვნებას ეთანხმება, მაშინ კანკელი, რა თქმა უნდა, შეფარდებული უნდა იყოს ტაძრის მთლიანობასთან“.

1855 წლის 21 მაისს გ. გაგარინი კვლავ წერს ეგზარქოს ისიდორეს წერილს, რომელშიც დანვრილებით მოყავს იმპერატორთან დიალოგი. განაცხადა რა თავისი „უმალღესი ნებასურვილი“ თბილისის სიონის ტაძრისათვის ახალი იკონოსტასის პროექტის შესადგენად (და ამასთანვე ერთად ასრულებდა რა განსვენებული მამის სურვილს), იმპერატორმა აღუქსან-

დრე ნიკოლოზის ძემ წინადადება მისცა გ. გაგარინს გამგზავრებულიყო თბილისში სიონის ტაძრის სამუშაოების დასამთავრებლად.

იკონოსტასი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს საუბარი ზემოთ მოყვანილ წერილში, დადგმული იყო სიონის ტაძარში 1804 წელს და შედგებოდა 4 იარუსისაგან, ხის საფუძვლით, გაჯის არაბესკებისა და ჩარჩობით. ქვედა იარუსის ხატები შესრულებული იყო ხის ფიცარზე და დაფარული იყო ვერცხლისა და მოოქროვილი შესამოსელით, ხოლო ზედა იარუსებზე მოთავსებული იყო ტილოზე შესრულებული ხატები.

1837 წელს კავკასიაში ყოფნის დროს ეს იკონოსტასი მოსწონებია იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. ამიტომ ადგილობრივი ქართველი სამღვდლოება უხალისოდ დათანხმდა მისი ახლით შეცვლას მანამდე, ვიდრე განსვენებულის ვაჟმა თავისი ხელით არ მიუთითა „მოხსენებაში ახალი იკონოსტასის შესახებ“ 1855 წლის 20 აგვისტოს: თანახმა ვარ სიონის ტაძრის იკონოსტასი გატანილი იქნას მცხეთის ტაძარში“⁷.

ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში გ. გაგარინი სთხოვს ნებართვას მოხსნას ძველი იკონოსტასის ზოგა იარუსები. მხატვარი სთავაზობს დროებით, ვიდრე ახალს დადგამდნენ, დატოვონ მხოლოდ ქვედა იარუსი აღსავლის კართა და ადგილობრივი ხატებით და გააკეთონ აღსავლის კარზე ალუბასტრით კარნიხი ჯვრით. ბოლოს და ბოლოს ადრინდელი იკონოსტასი, რომელიც ფარაჟდა ახლად მოხატულ კამარას, შეცვლილი იქნა ახალი. ერთიარუსიანი (VIII ს. შუამთის ტიპის) იკონოსტასით. სურათების შედგენაზე გ. გაგარინი მუშაობდა 1855 წლის ზამთარში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი იკონოსტასის გადატანა სიონიდან მცხეთაში ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ იკონოსტასის ოსკარამ თედორე ჩერნოვმა პირობა დასდო მცხეთის ტაძარში ახალი იკონოსტასის დადგმისა და სიონის ტაძრიდან ადგილობრივ ხატების გადატანის შესახებ. შემდეგი სამუშაოები გაუგებარი რჩება, რადგან მცხეთის ტაძარში იკონოსტასის მოწყობის საქმი მთავრდება 1856 წლის 9 თებერვალს⁸.

1855 წ. საქართველოს ეგზარქოსისადმი მოსკოვიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ თავის წერილში გ. გაგარინი წერდა: „ვიმედოვნებ, რომ ჩემი მანდ არ ყოფნის პერიოდში ბევრი რამ ნაინეოდა წინ“. სიონის ტაძრის კედლის მოხატულობის სამუშაოები მართლაც მიიწვედა წინ გ. გაგარინის ნიჭიერ და საიმედო მოადგილის მ. ტროშჩინსკის ხელმძღვანელობით.

1853 წლის 9 დეკემბერს სიონის კათედრალური ტაძრის სამუშაოების კომიტეტმა დადო მათთან (გ. გაგარინთან და მ. ტროშჩინსკისთან) მეორე ხელშეკრულება დარჩენილი ნაწილის შესახებ. მოხატულობის ხელშეკრულების პროექტი შედგანილი იყო გ. გაგარინის მიერ, მაგრამ ტექსტს ქვემოთ ხელს აწერდა ორივე მხატვარი⁹. ხელშეკრულების პუნქტების თანახმად, მხატვარ შემსრულებლის მოვალეობაში შედიოდა კედლის მხატვრობისათვის ადგილის ზომების აღება, ფიგურებისა და კომპოზიციის ქალაქზე დიდი მასშტაბით გადატანა.

მ. ტროშჩინსკი გ. გაგარინის სახელოსნოში მუშაობისას „ანებებდა ქალაქს საქირო სიდიდის გამოსახულებით, ქინძისათვის გადაჰქონდა ნახაზები, რომელიც გაკეთებული იყო გაგარინის მიერ. მასვე ეკუთვნოდა

ტაძრის კედლებზე გ. გაგარინის ესკიზების განხორციელება. ამასთანავე მ. ტროშჩინსკი კედლის კომპოზიციებისათვის აკეთებდა ფონს და გრუნტაჟდა გ. გაგარინის მიერ ნაჩვენებ ადგილებს.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით მ. ტროშჩინსკიმ ტაძრის კედლების მოხატვა დაიწყო 1853 წლის მაისში. მომდევნო წლის გაზაფხულზე იგი სთხოვდა კომიტეტს შეემონმეპინათ ჩატარებული სამუშაოები და გაცათ 500 მანეთი, რათა გადაეხადა ხელოსნებისათვის, „ბევითი და გულმოდგინე მუშაობისათვის“. ქორების ქვეშ ორი პატარა თაღის საკურთხევლის კამარის და სხვა კამარების მოხატულობისათვის მხატვარს მიეცა დამატებით 250 მან. 1854 წლის 9 ნოემბრის კომიტეტისადმი მიწერილ პატაკში იტყობინებოდნენ, რომ ამ დროისათვის ტაძრის შიგნით ყველა კედელი გასუფთავებული იყო შელესილობისაგან, მოხატული იყო ფონი გრუნტზე ცენტრიდან ბორდიურის გასწვრივ ულტრამარინით და ოქროს ვარსკვლავებით. ფანჯრის ქვედა სარტყელი მოხატული იყო მოზაიკისებურად. იალქნიანი კამარის ქვეშ მოხატული იყო 4 თაღი, ორი მათგანი ორნამენტებით, ოთხი თაღი ადგილ-ადგილ მოოქროვილი. გარდა ამისა, შესწორებული იყო მოხატულობის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც დაზიანდა ხარაჩოების დადგმისა და მოხსნის დროს.

ყველა აღნიშნული სამუშაო განხორციელებული იყო ოთხი ხელოსნის მიერ. მ. ტროშჩინსკის ხელმძღვანელობით 38 დღის განმავლობაში.

როგორც ცნობილია, სიონის ტაძრის მოხატულობა შესრულებული იყო ცვილოვანი საღებავების ტექნიკით. საარქივო საქმეებს, რომლებიც ეხება ტაძრის აღდგენას, თანდართული აქვს მიმონერა თბილისის შმიტის აფთაქის თანამშრომლის ვინმე ფ. კერსტენის საშუალებით მიუნხენიდან საღებავების გამოწერის შესახებ. გერმანულ ენაზე შედგენილი წერილები მ. ტროშჩინსკის მიერ წარდგენილი იყო კომიტეტში.

სწორედ ცვილის საღებავები, რომლებიც მიუნხენში კარგა ხანია გამოცდილი ჰქონდათ, პირველად გამოიყენა გაგარინმა თბილისში სიონის ტაძრის მხატვრობაში. მხატვრის მუშაობის მონმე და მნახველი გრაფი ვ. სოლოგუბი წერდა, რომ ცვილის საღებავის წყალობით სიონის მხატვრობამ მიიღო „არაჩვეულებრივი ბრწყინვალება, არაჩვეულებრივი რელიეფურობა“, რომ იგი „ არ შავდება, არ იბზარება, ფერს არ კარგავს, იძლევა თანაბრად მკრთალ და ბრწყინვალე ეფექტს, არ ზიანდება ჰაერის შეხებისაგან, საშუალებას იძლევა ყველა სახის ელფერი მიიღოს. ამას გარდა, ინარჩუნებს ღირსებას და ზეთის საღებავების ყველა კარგ თვისებას“¹⁰.

„ფერწერული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვიდან“ ირკვევა, „რომ მიუნხენში დამზადებული ცვილის საღებავები“ დახარჯული იყო 600 ბავარიული გულდენის ან 350 მანეთი ვერცხლის ღირებულებისა, დანარჩენ მასალებს: სპირტს, შელაკს, ტყვიის თეთრას, თეთრ ცვილს, მწვანე სიბირკას, ოქროს. ბრინჯაოს ფხვნილს, რუსულ ცარცს და ა. შ. მ. ტროშჩინსკი ყიდულობდა ვაჭარ არტემ პოპოვისაგან. 1853 წლის მარტში სამხატვრო სამუშაოებისათვის 188 მანეთის მასალა კიდევ იქნა შესყიდული თბილისელი ვაჭრის სერგეი კესიმოვისაგან.

1855 წლის სექტემბერში სიონის ტაძარში სამხატვრო სამუშაოები ჯერ არ იყო დამთავრებული, ზოგიერთი კომპოზიცია ჯერ კიდევ ინახებოდა. მხატვარმა მხოლოდ სექტემბრის ბოლოსათვის დაასრულა სამუშაოები¹¹.

საქართველოს ეგზარქოსი 1855 წლის 21 ოქტომბრის მოხსენებაში იტყობინებოდა გ. გაგარინის მიერ სიონის ტაძარში სამუშაოების დამთავრებას. „უანგარო შრომა, რისთვისაც თავადმა გაგარინმა მისი უმაღლესობის წინასწარი ნებართვით თავისი საკუთარი სახსრებით იმოგზაურა დასავლეთ ევროპის იმ ადგილებში, სადაც შემონახული იყო ძველი ბიზანტიური ძეგლების მოხატულობა, მავალეს ვთხოვო თქვენს მაღალყოვლად-სამღვდელოებას შუამდგომლობა, რათა დაჯილდოვდეს იგი წმინდა მოციქულთსწორის თავად ვლადიმირის III ხარისხის ორდენით“¹².

რამდენიმე თვის შემდეგ, 1856 წლის 28 თებერვალს, გ. გაგარინს ებოძა წმინდა ვლადიმირის მახვილებიანი ორდენი — „წარმატებით, გულმოღვიწხით და თავგამოდებული მუშაობისათვის ჯილდოდ.“¹³

სიონის ტაძრის ახალი იუზონოსტასი ნაკურთხი იყო მის დადგმიდან ხუთი წლის შემდეგ — 1861 წელს.

1882 — 1887 წ. წ., საქართველოს ეგზარქოსის პაულეს დროს, სიონის მოხატულობა კვლავ რესტავირებული იქნა ფრაგმენტულად. ეს იყო თბილისის სიონის ტაძრის რიგით მეხუთე რესტავრაცია მე-19 საუკუნის მანძილზე.¹⁴

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 488, ა. 1, საქ. 1589, 508ა
2. საფუძველი გააქვს ვიგელისძემოთ, რომ ერთ-ერთი მათგანი — ანტონ გეგელძე XVIII — XIX სს. ქართველ მხატვართა ღინასტიის წარმომადგენელი იყო.
2. ერთი მათგანი, ჩვენი აზრით, არის მიკიტუმას ვაჟი აკობ ოენათანიანი.
4. საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ქ. 488, 1, საქ. 16009.
5. გრაფ. ვ. ა. სოლოგუბის თხზულება ტ. V, 1855, გვ. 373-394, თბილისის სიონის ტაძრის აღდგენა
6. საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 488, საქ. 24983.
7. ს. ც. ს. ი. ა. ფ. 488, საქ. 24983.
8. საქართველოს სსრ ს. ც. ი. ა. ფ. 488, ა. 1, საქ. 25993.
9. საქართველოს სსრ ს. ც. ი. ა. ფ. 488, ა. 1, საქ. 25977.
10. გრაფ. ვ. ა. სოლოგუბის თხზულებანი, ტ. V, 1855, გვ. 373-394, თბილისის სიონის ტაძრის აღდგენა
11. საქართველოს სსრ ს. ც. ი. ა. ფ. 488, ა. 1, საქ. 16009;
12. საქართველოს სსრ ს. ც. ი. ა. ფ. 488, საქ. 24983.
13. საქართველოს სსრ ს. ც. ი. ა. ფ. 488, ა. 1, საქ. 16009.
14. ეპისკოპოსის კარიონეს შოკლე წარწევები საქართველოს ეკლესიისა და ეგზარქოსის ისტორიის, გვ. 308.



თანამედროვე თბილისის ტერიტორია საკმაოდ მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მოსახლეობა აქ უძველესი დროიდან ეწეოდა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

ვინაიდან თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული, ძნელდება სისტემატური არქეოლოგიური გათხრების წარმოება. ამიტომ ის აღმოჩენები, რომლებიც ჩვენი წინაპრების ცხოვრებას გვაუწყებენ, უმთავრესად შემთხვევითი ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, არქეოლოგიური გათხრები თბილისის სხვადასხვა უბანში მიმდინარეობდა 1948-49, 1956-57, 1966-71 წლებში, და 1972 წლიდან დღემდე.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია ჯერ კიდევ 5-6 ათასი წლის წინათ დასახლებულა. ამ დროიდან მოყოლებული ამ ადგილზე განუწყვეტლივ ცხოვრობდნენ ადამიანები და ქმნიდნენ მაღალ კულტურას თავიანთ მონათესავე თუ მოსაზღვრე გვარებთან, ტომებთან და ხალხებთან ერთად.

არქეოლოგიური გათხრების დროს სხვადასხვა ნივთებთან ერთად ნაპოვანია მონეტები, რომელთა საშუალებით ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორი იყო საუკუნეთა განმავლობაში ქალაქისა და მისი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან. სწორედ ზუსტი მონეტური მასალა გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ თბილისში ფულადი მიმოქცევა საუკუნეთა მანძილზე.

1981 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ი. გრიშაშვილის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა გათხრებს თბილისის ორ პუნქტში — აზიზბეკოვისა და ჭონქაძის ქუჩებზე.

აზიზბეკოვის ქუჩაზე №26 სახლის დანგრევის შედეგად განთავისუფლებული ფართობის არქეოლოგიური შესწავლისას აღმოჩნდა ძველი სამოსახლო. მოპოვებული მასალა ადრე, შუა და გვიანფეოდალურ ხანებს განეკუთვნება. კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა ცხრა მონეტა: სამი ხვარაზმშია ჯელალ ად-დინის (1221-1231 წწ.), თითო ელხანთა ირანის სულთან ოღჯაითუსა (1304-1316 წწ.) და ვახტანგ VI-ის ვაჟის ქართლის მეფის ბაქარის (1716-1719) სამი რუსული მონეტა (1903 და 1915 წწ.), ხოლო ერთი მათგანის განსაზღვრა ვერ მოხერხდა ცუდი დაცულობის გამო (დაშლილია ფრაგმენტებად).

ვიძლევიტ ამ მონეტების აღწერილობას:

1. №66, სველე ნიგ. ნი (შემდეგში ს/ნ №1/2

(13/XI 81 წ.; 1 კვადრანტი; l=2,95).

სპილენძი, წონა — 14,52გ, ზომა — 23/25 მმ. ჯელალ ად-დინი (1221-1231 წწ.).

შუბლი: შეიმჩნევა ხაზოვანი რკალის ფრაგმენტი, რომელშიც მოთავსებულია ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: სულთანი უზენაესი.

ზურგი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ჯელალ ად-დუნია ვედდინ სიქა აღემატება სამონეტო რგოლს, რის გამოც მოჭრის ადგილი და თარიღი არ იკითხება.

ეს მონეტა, ისევე როგორც უმეტესობა ჯელალ ად-დინის მონეტებისა, გადაჭედილია, სამონეტო არეზე შეიმჩნევა გადაჭედვის კვალი (ტაბ. 1, 1).

ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯელალ ად-დინის მონეტების თითქმის ყველა ეგზემპლარი გადაჭედილია იმ დროს მიმოქცევაში მყოფი თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, რუსუდანის, უფრო იშვიათად — დემეტრე I-ის ან გიორგი III-ის ქართული მონეტებისაგან.¹

2. № 30 ს/ნ. 22/XI 81 წ., II კვადრანტი; $h=2,8$.

სპილენძი, წონა — 6,29 გ ზომა — 20/23 მმ. ჯელალ ად-დინი, გადაჭედილი (1221-1231 წწ.) მონეტის ორივე მხარეზე სიქა აღემატება სამონეტო რგოლს.

შუბლი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: სულთანი უზენაესი.

ზურგი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ჯელალ ად-დუნია ვედდინ.

მოჭრის ადგილი და თარიღი არ იკითხება (ტაბ. 1, 2).

3. № 67 ს/ნ. (15/X 81 წ., III კვადრანტი; $h=0,10$). სპილენძი, წონა — 2,75 გ.

ზომა — 15/17 მმ. ჯელალ ად-დინი, გადაჭედილი (1221-1231 წწ.)

შუბლი: ნარწერა არ იკითხება, შეიმჩნევა ძველი სიქის კვალი.

ზურგი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ჯელალ ად-დუნია ვედდინ (ტაბ. 1, 3).

4. № 7 ს/ნ. (3/IX 81 წ., I კვადრანტი, $h=1,50$), სპილენძი, წონა — 2,42 გ. ზომა — 20/25 მმ.

მონეტა გაცვეთილია, ნაპირები დაკბილული და დაზიანებული აქვს, მაგრამ ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე იგი შეიძლება განისაზღვროს და მიეკუთვნოს ელხან ოლჯაითუს (1304-1316 წწ.).

შუბლი: ოთხი ნახევარრკალისაგან შედგენილ ჩარჩოში მოთავსებულია შვიდსტრიქონიანი არაბული, ზედწერილი, რომლის წაკითხვა არ ხერხდება. ამ ტიპის მონეტების შუბლზე ჩვეულებრივ მოთავსებულია შემდეგი შინაარსის ნარწერა:

მოიჭრა მფლობელობაში უშაღლესი სულთანის, მეფეთა, დამპყრობელის იმამის ოლჯაითუ სულთანისა. დიდება ქვეყნისა და სარწმუნოების, ხუდაბანდე მუჰამედი. განაგრძოს ღმერთმა მისი მეფობა.

ერთ სეგმენტში უიღურულად: „ოლჯაითუ სულთანი“. დანარჩენ სამში არაბულად: ალაჰს უფლება ან და მარადის.

მოჭრის ადგილი და დრო არ იკითხება. სავარაუდოა 703-716 პიჯრ. 1304-1316 წწ.

ზურგი: სამონეტო არე შემკულია ვარსკვლავებით. ცენტრში, ხაზოვან რკალში, მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური



ტაბულა I.


Табл. I

რწმენის სიმბოლო, არ არის ღმერთი გარდა ალაპისა, მუჰამედი მოციქუ-
ლი ალაპისა, ალი ნაცვალი ალაპისა.

მუჰამედი მოციქული ალაპისა, ალი ნაცვალი ალაპისა.

ხაზოვან რკალს გარედან შემოუყვება არაბული ზედწერილი:
ღმერთო, შეიწყალე მუჰამედი და ალი, და ჰასანი და ჰუსეინი,
და ალი და მუჰამედი, და ჯაფარი და მუსა, მუჰამედი და ალი, და ჰა-
სანი და მუჰამედი (ტაბ. II, 4).

5. № 34 (ს/წ. [24/IX 81 წ., II კვადრატი; h=2,9). სპილენძი, წონა—3,95გ.,



ტაბულა II.

Табл. II

ზომა — 20 მმ. ბაქარის მონეტა, ფული, სიქა ალემატება სამონეტო რგოლს.

შუბლი: ნერტილოვან-ხაზოვან წყვილად რკალში გამოსახულია მარჯ-ენივ მიმართული ფარშევანგი და მოთავსებულია ბაქარის სახელი და-ქარაგმებული სახით „ბ“ „ქ“.

ზურგი: სამსტრიქონიანი სპარსული წარწერა: ფულუსი იჭედა თბი-ლისს 1130 ჰიჯრ. — 1717-1718 66.

მონეტის ორივე მხარეზე სამონეტო არე შენეულია ყვავილოვანი ორნამენტებით¹ (ტაბ. II, 5).

6. № 38 ს/წ. (24/IX 81 წ. II კვადრანი; $h=2,9$). წონა — 2,90 გ., ზომა — 22 მმ. მონეტა სპილენძის, რუსული, 1903 წ., კაპიკიანი.

7. № 68 ს/წ. (20/X 81 წ., III კვადრანი $h=0,5$). წონა — 6,25 გ., ზომა — 24 მმ. მონეტა სპილენძის რუსული, 1915 წ., 2 კაპიკიანი.

8. № 69 ს/წ. (21/X 81 წ., III კვადრანი, $h=0,70$), წონა — 3,05 გ. ზომა — 21 მმ. მონეტა სპილენძის, რუსული, 1915 წ. კაპიკიანი.

9. № 61 ს/წ. (4/IX წ., I კვადრანი $h=1,50$). მონეტა სპილენძის, დაშლილი, გაურკვეველი, განსაზღვრა არ ხერხდება.

ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე №21 სახლის (მ. თოიძის სახ. №11 საშუალო სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებელი) საძირკვლის გამაგრებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს შენობის აღმოსავლეთ კედელთან 1 მ და 50 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა რუსული მონეტა:

10. № 70 ს/წ. (20/II 81 წ.), სპილენძი, 1815 წ., 2 კაპიკიანი.

წონა — 15,03 გ., ზომა — 30 მმ. (ტაბ., II 6).

აზიზბეკოვისა და ჭონქაძის ქუჩებზე აღმოჩენილი მონეტების შედარებამ წინა წლების არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებულ ნუმისმატიკურ მასალასთან დაგვანახა, რომ ჯელალ ად-დინისა და სულთან ოლჯაითუს მონეტების თბილისში აღმოჩენის შემთხვევები ცნობილია², ხოლო რაც შეეხება ბაქარის მონეტას, მისი უშუალოდ თბილისში აღმოჩენის ფაქტი ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მონეტა იჭრებოდა თბილისში და ფართოდ მიმოიქცეოდა საქართველოში.

ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა უცხოელ მოგზაურთა და ვაჭართა ცნობები იმის შესახებ, რომ თბილისი იყო ვაჭრობისა და ეკონომიური ცხოვრების ცენტრი, რომ აქ მიმოიქცეოდა არა მხოლოდ თბილისში მოჭრილი, არამედ უცხოეთიდან შემოსული მონეტებიც.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მონეტები ავსებს თბილისის ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ ნუმისმატიკურ მასალას.


ასე, რომ, საშური და აუცილებელია ქალაქის ფარგლებში სისტემატური-არქეოლოგიური კვლევა-ძიებით სამუშაოების ჩატარება.

¹ Пахомов Е. А., Монеты Грузии. Тб., 1970, стр. 102—103.

2. დ. კანანძე, ქართული ნუმისმატიკა. თბილისი, 1969 წ., გვ. 104

³ Пахомов Е. А. Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв. Баку, 1928, стр. 94. Т. С. Кутелия, Грузия и сефевидский Иран, Тб. 1979, стр. 61-62.

4. ირ. ჯალაღანი, თბილისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს მოპოვებული ნუმისმატიკური მასალა — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II. თბილისი, 1974, გვ. 107-113.



გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლების უბადლო მკვლევარი, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ერთერთი მშენებელთაგანი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, სკკპ წევრი 1946 წლიდან, ილია ვლადიმერის ძე ადამია.

ი. ადამია დაიბადა 1913 წელს ახალ-სენაკში (ქ. ცხაკაია), მუშის ოჯახში. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ახალმშენებლობებზე ქ. ცხაკაიასა და თბილისში. 1944 წლიდან, ოთხი ათეული წელი, იგი მისაბაძი გულისხმიერებით ზრდიდა და წვრთნიდა ახალგაზრდა სპეციალისტებს — ხუროთმოძღვრებს, ინჟინერ-მშენებლებს; უნერგავდა მათ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას სოციალისტური სამშობლოს, მშობლიური ხალხის წინაშე. ამას ი. ადამია წარმატებით აღწევდა, რადგან თვითონ იყო მისაბაძი კომპენტენტურობასა, ხალხის სამსახურსა და განსწავლულობაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა ი. ადამია რესპუბლიკის ახალმშენებლობებს, საგანგებოდ კი — ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრების კვლევას. მის მეცნიერულ გამოკვლევათა შორის არის: „კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება“, „აფხაზეთის დიდი გალავნის ნაგებობათა კომპ-

ლექია", „წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში“ და 50-მდე სხვა ნაშრომი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ფუნდამენტური „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების“ სამტომეული, რომელშიაც გამოწვლილევით არის გამოკვლეული აჭარის, აფხაზეთის და საინგილოს ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები, საქართველოს სამშენებლო კულტურის ძველთაგანვე მაღალი დონის მაჩვენებელი საცხოვრებელი, სამეურნეო, სასიმაგრო და საკულტო ნაგებობები. ამ სამტომეულის მნიშვნელობა განსაკუთრებულია, იმის გამოც, რომ ან განსვენებული მკვლევრის მიერ მეცნიერული სიერცე-სიღრმითა და ზედმინვნილობით ფიქსირებული ძეგლების საგულისხმო ნაწილი აღარ შემოინახა და, ამრიგად, ილია ადამიას ზემოხსენებული გამოკვლევები მნიშვნელოვანწილად საისტორიო წყაროდ იქცა.

ამ სამტომეულს, ავტორის მიერ სადოქტოროდ წარდგენილს, მაღალი მეცნიერული შეფასება მიეცა და რარიგ დასანანია, რომ ხანგრძლივმა და მძიმე ავადმყოფობამ არ მხოუშვა მისი ავტორი სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვამდე.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ილია ადამიას ღვანლი თბილისში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის შექმნის, ქართული სამშენებლო ხელოვნების ძეგლების დაცვისა და აღდგენის მამულიშვილური სამუშაოების განხორციელებაში.

ვითარცა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების გამოჩენილი მკვლევარი, იგი მინვეულ იყო „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის“ თანაავტორად. ამ სერიისთვის შექმნა მან: „კოლხური წნული სახლი“, „კოლხური ოდა-სახლი“ და წყება ნარკვევებისა აჭარის, აფხაზეთის, ზემომიერეთის და საინგილოს ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო თუ საკულტო ნაგებობების შესახებ. გულითადად და მისთვის დამახასიათებელი პროდუქტიულობით თანამშრომლობდა ის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ შემქმნელ კოლექტივთან.

ილია ადამია იყო საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთერთი აქტიური მოღვაწეთაგანი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე მისი რესპუბლიკური საბჭოს წევრი, საზოგადოების კრებულ „ძეგლის მეგობრის“ აქტიური თანამშრომელი; მონაწილეობდა საზოგადოების არაერთ კომისიაში და სამუშაო ფგუფში, სადაც მისი მოსაზრებები ყოველთვის გამოიჩნეოდა ღრმა მეცნიერული დასაბუთებითა და ერუდიციით.

ღვანლმოსილი პედაგოგის, ქართული სამშენებლო კულტურის გამოჩენილი მკვლევრის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მამულიშვილური საქმის დიდი მოამაგის, სასახელო მოქალაქის და მეგობრის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს კოლექტივებში.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი.

კრეაულ „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია.

კულტურის ქაზლთა დაცვა თითოეული მოქალაქის ღვიძლი საზოგადოებაში

ზემო იმერეთი და კერძოდ, საჩხერის რაიონი მდიდარია კულტურის ძეგლებით. აქ 114 ძეგლია აღრიცხული, მათგან 11 სახელმწიფო იცავს. საჩხერეში არის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორც: ციხე მოდი ნახე, ეხვევის ტაძარი „დედაღუთისა“, ჯრუჭის მონასტერი, სავანის „წმინდა გიორგისა“ და სპუთის „ზედა მაცხოვრის“ ეკლესიები და სხვა. ჯრუჭის მონასტერი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაცაა ცნობილი. სწორედ აქ იყო შემონახული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლი — ჯრუჭის ოთხთავად ნოდუბული „სახარება.“ რამდენიმე წლის წინ სვეტიცხოველიდან ექსპედიცია ჩამოვიდა რაიონში და სპუთის „ზედა მაცხოვრის“ ეკლესია მოინახულა, სადაც მათ ჯვრის აღმბეჭდი აიღეს. ეს ეკლესია ერთადერთი აღმოჩნდა საქართველოში. მასზე შემორჩენილია მუხის ჯვარი, კვარცხლბეგზე აღმართული. ასეთივე ჯვარი აღმოჩნდა ეხვევის „დედაღუთისას“ ღია თაღებქვეშ. მნახველთა ყურადღებას იპყრობს სავანის, ცხამის, ჭალისა და ქორეთის ეკლესიები. უღამაზესი ქართული რუქურთმებითა და უნიკალური ფრესკებით.

რაიონში ამჟამად ნათლად იგრძნობა იმ დიდი მზრუნველობის კვალი, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის. განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ საქმეში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვარის დადგენილებაში, რომლითაც კონკრეტული ღონისძიებები დაისახა კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად. პარტიის საჩხერის რაიონში და რაისაბჭოს აღმასკომში ამ ბოლო წლებში მართლაც დიდ მამულიშვილურ ზრუნვას იჩენენ კულტურის ძეგლებისადმი, რათა მომავალ თობებს შეუნარჩუნონ ისინი, როგორც წარსული ცხოვრების დიდებული მემკვიდრეები. პარტიის რაიონის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე რეგულარულად იხილება ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, რაშიც, რა თქმა უნდა, კულტურის განყოფილება თავის სიტყვას

ამბობს. მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემონახვისა და კონტროლის სწორი ორგანიზაციით ბევრი რამ მოგვარდა.

მაგალითად, გორისის სასოფლო საბჭოს ინიციატივითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით შეუეთდა გორისის ეკლესია. მას გაუკეთდა ახალი სახურავი, აღდგენილი და შემოღობილი იქნა სამრეკლო. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გორისის მკვიდრებმა ილარიონ და დიმიტრი შევლაშვილებმა. ეკლესიას დარაჯიც პყავს, რომლის მზრუნველობითაც ყოველთვის მოვლილია ეზო (რგავს ყვავილებს, ამყრობს ხეხილს...).

ჭალის სასოფლო საბჭოს ინიციატივითა და სპუთის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით კეთილმოწყობითი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ სპუთის „ქვედა მაცხოვრის“ ეკლესიას. ჩიხის სასოფლო საბჭომ ასევე უზრუნველყო ორღულის ეკლესიის, ხოლო მერჯევის სას. საბჭომ მერჯევის ეკლესიის შეკეთება. ამ საქმეს ცალკეული ერთეულებები მრავლად პყავს, მათ შორისაა ორღულელი ნიკოლოზ მწყერაშვილი, მერჯეველი მათე მიქაძე, საჩხერელი უშანგი გაბაძე და სხვ.

შეტად სასარგებლო მუშაობას ეწევა მთელ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ცნობილი ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ამავე სკოლის დირექტორის, კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარის მიხეილ გოგატიშვილის მრავალწლიანი შრომითა და მონადინეობით შეიქმნა. ამ მუზეუმში ამჟამად ათასობით საინტერესო ექსპონატია დაცული, რომელთა შორის ბევრი მართლაც უნიკალურია. თუ რაოდენ სასარგებლო მუშაობა ტარდება ამ მუზეუმში, ეს მარტო იქიდან ჩანს, რომ ქორეთელი მოსწავლეები, კულტურის ძეგლთა მეგობრები, ყოველ წელს ხდებიან მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური და საკავშირო შტურბა-კონფერენციის მონაწილენი. ისინი მონაწილეობდნენ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მსოფლიო კონგრესშიც კი.

კულტურის ძეგლთა დაცვისა და პროპაგანდის საქმეში უდიდეს როლს შეასრულებს საზღვრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც ამ საქმის დიდი ერთუზიანტი თინათინ ონიანი უდგას სათავეში. მუზეუმში ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რათა იგი მდიდარი ექსპონატებით შეივსოს.

პარტიის საზღვრის რაიკომისა და რაიკსაბჭოს აღმასკომის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძობლად გაუმჯობესდა სამეფო დახმარება კულტურის ძეგლებისადმი. მარტო ის რად ღირს, რომ შეფა საზღვრის მექანიზირებულმა სატყეო მეურნეობამ კეთილმოაწყო ჯრუჭის მონასტრის ძველად მისასვლელი გზა. ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების კომპლექსური და პიონერული ორგანიზაციები პერიოდულად აწყობენ შაბათობებს კულტურის ძეგლთა შემოგარენის დასუფთავებისათვის და სხვა.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქმიანობა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიკონულმა ორგანიზაციამ. დღეს იგი 15000-ზე მეტ წევრს ითვლის და ფართო პროპაგანდას ეწევა ძეგლთა მოვლა პატრონობის საქმეში მოსახლეობის ფართო მისების ჩასაბმელად. ორგანიზაციას თუმცა ძალიან მცირე თანხა აქვს გამოყოფილი კულტურის ძეგლთა სარემონტო სამუშაოებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი დიდი სისათუთითა და ყურადღებით ეკიდება სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოების ნარმოებსა. მისგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას იმსახურებენ ცალკეული ერთუზიანსტები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შესაძლებლობის ფარგლებში არც ძეგლთა დაცვის სამმართველოდან ევაკლია ყურადღება. ამ ბოლო დროს სწორედ ამ სამმართველომ ჩაუტარა კამპილური რემონტი ქალის „წმინდა გიორგის“ (XII ს.) ანუ როგორც აქ უწოდებენ — აბაშიძეების ეკლესიას.

აღნიშნულის მიუხედავად, კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები გაგვაჩნია. ამ ნაკლოვანებებზე პრინციპულად ითქვა ახლახან ჩატარებულ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, კერძოდ აღინიშნა, რომ გადაუდებელი შეკრება ესაჭიროება ეხვევის, სავანის, ქორეთის, ცხამის ეკლესიებს.

ციხე მოდინახეს და სვეთის ზედა მაცხოვრის ეკლესიას ბზარი აქვს გაჩენილი, ჩამოვადებულია კანკელი, ეკლესია ფეხორმადიან განიციდის და აუცილებელ შეკეთებას მოითხოვს. თვით აბაშიძეების ეკლესიაშიც კი, რომლის შენობა ძეგლთა დაცვის სამმართველომ შეაკეთა, საჭიროა ფრესკების აღდგენა. ზოგიერთი აღდგენითი სამუშაოს შესრულება ადგილობრივი ძალებით შეიძლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ არც თვითნებობაა დასაშვები. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ყოველ ამგვარ სამუშაოს, რომელიც ადგილობრივი ძალებით ნარმოებს, რესპუბლიკური სამმართველო უნეველს ზედამხედველობას, რათა კულტურის ძეგლებმა თავიანთი პირვანდელი იერსახე შეინარჩუნონ.

ბევრი ეკლესიის ეზო (ქორეთის და სხვა) ითხოვენ გაფართოებას, რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ძეგლს უნდა გაუკეთდეს დაცვითი დაფები. არ კმარა ათვისებული პროპაგანდის დონე. მიუხედავად იმისა, რომ რაიონული გაზეთის ფურცლებზე ხშირადაა გამოქვეყნებული მსუსხავი სტრიქონები იმათ მიმართ, რომლებიც „უკვდავებას“ ეძებენ კულტურის ძეგლთა კვლევებზე თავიანთი გვარისა და სახელის ამოფხაჭნითა თუ ნარწერიით, ჯერ კიდევ გრძელდება ასეთი ქმედებანი. სამწუხაროდ, ზოგიერთი სტუმარიც ვერ გაქცევია ამ არაადამიანურ სენს და ეკლესია მონასტრების კედლებზე ნარწერიანი უხამსო ბატიფურით გვამკვებს თავის ვინაობას.

აქა-იქ კვლავ აქვს ადგილი რელიგიური რიტუალების, დღესასწაულებისა და ამ დღესასწაულებზე მსხვერპლშენიარვის შესრულებას. ამ დროს ბინძურდება და ზიანდება ეკლესიების ეზოები. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამართლიანად მიგვიითია საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ, რომ ჩიხთა „ლეთისმშობლის“ და „სამების“ ეკლესიებს მოეხსნათ მიდგმული ხის სათავსები, რომლებიც გაუთავებელ ღრეობის ადგილებად ქცეულან. პირდაპირ გაკვირვებას იწვევს რესპუბლიკური სამმართველოსადმი სხვიტორულ მცხოვრებთა მიერ გაგზავნილი წერილი, რომლითაც ისინი მას ატყობინებენ, რომ სხვიტორის ეკლესია უყურადღებოდაა მიტოვებული და შიითხოვენ დახმარებას მისი დასუფთავებისათვის.

რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეტი აქტიურობა უნდა გამოაჩინოს, რათა რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისპირდეს ახალი საბჭოური დღესასწაულები, სასარგებლო რიტუალები და წეს-ჩვეულებანი. კულტურის ძეგლებში, სადაც შენობები ამის საშუალებას გვაძლევს, სისტემატურად უნდა ეწყობოდეს კარგად მოფიქრებულ ახალგაზრდული ღონისძიებანი, გაიხსნას ახალგაზრდობის სახალხო უნივერსიტეტები და იდეოლოგიურ-აღმზრდელიობითი მუშაობის ცენტრები.

შეტი აქტიურობა მართებთ ადგილობრივ საბჭოებს, შეუდგით ორგანიზაციებსა და კულტურის ძეგლთა მცველებსაც. ყველა ისინი რომ სრული პასუხისმგებლობით ვაიდეობოდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს, მაშინ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა ეხვევის, ჯრუჭის, ქალის, წიხის, „სანებისა“ და „ღუთისმშობლის“ ეკლესიებში. ამასთან ადგილი არ ექნებოდა ხელყოფის ფაქტებს.

საგანგებოდ გვიანდა შეჭერდეთ ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ, როგორც ციხე მოდინახეა. მის კედელზე გაჩენილია ბზარები, კოშკები ჭამთასელისაგან მორყულია, დანგებულია ეროზიის პროცესი. ამ ძეგლის გადარჩენის საკითხი უკვე მწვავედ დგას დღის წესრიგში. რაიონში არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც მიენდობოდა სარემონტო სამუშაოების წარმოება. ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის რაიონული ორგანიზაცია დიდად უმადლის იმ დახმარებას, რაც რესპუბლიკურ სამმართველოს გაუწევია და უნუქს რაიონის ამგვარადაც იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარება მოდინახეს გადარჩენაში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რაიონში მხოლოდ 11 ძეგლია აუცილებელი სახელმწიფო დაცვაზე. სინამდვილეში კი კიდევ მრავლადაც არის უნიკალური ძეგლები, მაგ., „ბარბარმინდა“, დუნეთის ციხე, ქორცილის „მწმინდა მარინეს“ ეკლესია, „სანთელას ციხე“, და სხვა, რომლებიც ასევე საჭიროებენ დაცვას.

კარგი იქნება თუ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში დაგვეხმარება ბუკლეტების მომზადებასა და გამოცემაში ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლებისათვის მაინც, როგორცაა მოდინახეს ციხე, ჯრუჭის, მონასტერი, სავანის, ეხვევის, სპეთის ეკლესია.

თუ ყველა ორგანიზაცია, საზოგადოებრივ ყველა წევრი, თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნევს და პრაქტიკული ღონისძიებებით უპასუხებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, ყველა შესაძლებლობაა იმისა, რამ კულტურის ძეგლთა დაცვა, მათი მოვლა-პატრონობა და შთამომავლობისათვის შემონახვა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დადგეს.

გვჯერა, რომ ეს ასე იქნება.



ანტონ ბალახაშვილი

ღისია მიხაძე

სოფ. უდგეში (ადიგენის რაიონი), არის უფროსი XIV-XVI სს ეკლესია, რომელიც ამჟამად აღადგინდა და მუშაობს. სახურავიც ქვისაგანაა გამოკეთილი, ოღონდ პირვანდელი სახე აღარა აქვს. სახურავიდან ქვები ჩამოცვენილია და დამტვრეული. სახურავზე და კედლებზე, ბზარია გაჩენილი, სადაც მკვინარეები ამოსულია. წვიმის წყალი უმონყლოდ ანადგურებს ამ ისტორიულ ძეგლს, რომელიც აუცილებელ შეკეთებას მოითხოვს

გარდა ამისა ამ ქველის დასავლეთ კედელზე მაღლა სახურავთან ქვა ჩაუტანებიათ სომხური წარწერით. ამავე ქვაზე წერია 1842 წ.

საინტერესოა ეს დასჯირდა ასეთი თვითნებური წარწერის გაკეთება, ისიც ძველ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე, თანაც სხვა ენაზე? ამაზე დროა ჩაუფიქრდეთ და სპეციალისტებმაც უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი.

უღს ქველი სანარხში

მესხეთი მდიდარია კულტურის ძეგლებით, რაც იმას განაპირობებს, რომ აქ ადრე ცხოვრება დიდია. დროთა სიყვემ მრავალი მტერი გაუჩინა ამ მაღლიან მიწას.

მამა-პაპის საკუთარი კერა, შემოსეულ მტერმა ნაცარტუტად აქცია. ბევრი სოფელი ნასოფლარი გახადა. ბევრი მათგანის კვალი ნაიშალა. ზოგჯერ არხის გაღვანისას ან შენობის საძირკვლის გაჭრისას მიწაში ნახულობენ წინაპართა ნახელავ იარაღებს და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობებს, აგრეთვე მიცვალებულთა დამარხვის სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს.

მაგალითად, გასული წლის გაზაფხულზე სოფ. წყისის ნასოფლარზე ტრაქტორით ყანის ხენისას გუთანმა ვებერთელა ფიქალი ქვა წამოაცურა. ტრაქტორისტმა შენიშნა, რომ საქმე სიძველესთან უკონდა.

მართლაც აღნიშნული ქვა სახურავს წამოადგენდა, რომლის ქვეშ ადამიანის

სრული ჩონჩხი იყო, მისივე ფეხებთან სხვა მიცვალებულთა ჩამდენივე თავის ქალა ელაგა. საფლავი ოთხივე მხრიდან ბრტყელი ქვებით იყო შემოზღუდული. მის ახლოს კიდევ მრავალი სამარხი შეინიშნება.

1980 წლის მაისის თვეში სოფ. ადიგენში ნაიკლესიართან, სადაც ამჟამად გამაპმადიანების დროინდელი მეჩეთია, შემთხვევით მიწა ჩაინგრა. ცნობისმოყვარეებმა ნახეს ძველი დროის სამარხი, სადაც მიცვალებული იყო დაკრძალული აღმოსავლეთის მიმართულებით.

გრძელი თმები მოწმობდა, რომ აქ ქალი განისვენებდა, კუბო ახალივით პრიალებდა.

იქნებ არქეოლოგები ამით დაინტერესდნენ, ვინ იცის მესხეთის მიწა კიდევ რას ინახავს საიდუმლოდ?

ზოგი კულტურის ძეგლთა ხელმოწერა

ქვემო ლაღეში, სოფ. დერცელთან პატარა ეკლესია დგას, რომელსაც თლილი ქვები გამოცდილი აქვს. უსულგულო ადამიანებს ეკლესიის ქვები იქვე მოუზიდავთ და ფრმის შენობა გაუმყნებიათ. ნუქურთმისაინი

ქვები ზოგი სწორედ, ზოგი თავდაყირა ჩაუტანებიათ კედელში.

ეკლესიის თლილი ქვებით გამოწყობული ბოსილი იმაზე მეტყველებს, რომ ამ საქმის ხელმძღვანელი კულტურის ძეგლთა მგობარი კი არა ნამდვილი მტერი ყოფილა.

ეს ჩვენი ზიზღს იწვევს. არანაკლები გასაკიცხი და სასჯელის ღირსი არიან ისეთები, ვინც დღისით, მზისით დაანგრია მამა-პაპათა ოფლითა და გარჯით ამწებელი ესოდენ დიდებული ძეგლები.

ნამდვილ ქართველს, ვისაც უყვარს ძეგლები უფოოდ იტყვის: — შეახშეს მარჯვენა ძეგლთა მნგრევებს, მჯდომნებულნი მწებნი უდიერად ბლაღეს წინაპართა ნახელავს.

ნარნარიან ქათა საიდუმლოება

ჩვენი კუთხე ვინ იცის რამდენჯერ ყოფილა მტრის საასპარეზოდ. რამდენჯერ დასწევს და მიწასთან გაასწორეს და შაინც ნაფუძვარზე ისევ სიცოცხლე ისადგურებდა.

ამ მიწა-წყლის ყოველი მტკაველი სისხლითაა გატენილი. რამდენი მესხი ქალვაფი ვინ იცის მერამდენედ ნაურეკიით ტყვეთა ჰაზარზე გასაყიდად. რამდენი ძუძუთა ბავშვი მოუკლავთ დედის თვალწინ. ძნელია ძალიან ძნელი, ნარსულის გახსენება. არ შეიძლება გულქვა ადამიანსაც სიბრალული არ მოჰგვაროს ჩვენი ერის ისტორიის გახსენებამ.

მესხეთში სადაც არ უნდა გაიარო, ტყე იქნება თუ ხევ-ლეღე, ყველგან უამრავი ნასოფლარი, ნანისქვილარი, ნაცულისიარი თუ ნაციხარი შეგხვდება. ამ ძეგლებს კაცი გულგრილად ვერ აუვლის, რომ საგულდაგულად არ დააკვირდეს მტრისაგან იავარად ქმნილ მამა-პაპათა ნამაგარს.

ამასწინათ გავლა მომიხდა ნასოფლარ ზაზალოში, იქ სადაც ერთდროს ჩვენი წი-

ნაპრები ცხოვრობდნენ. ამგამად მართალია იქ პურის ყანებია, მაგრამ ზოგ ადგილას მაინც ეტყობა ნასახლარები. კოლმეურნეებს ყანები ქვებისაგან გაუნშენდიათ და რამდენიმე ადგილას დაუგროვებიათ. ვინ იცის რამდენ ადამიანის ხელში გაიარა აქ დაურიღმა ქვებმა და აღბათ არავინ დაფიქრებულა, თორემ აქ არც კი მიყრიდნენ ასე უგულოდ ამ საინტერესო ქვებს. ამ ქვის გროვამი საკმაოდ დაზიანებული ქვაჯვარია ასომთავრული წარწერით.

მეორე ქვის ნატეხზე, რომელიც ისევ აქ ვიპოვე მხედრულით აწერია: შ. ყ. ხ. ვინ იცის ეს ქვები რა საიდუმლოს ინახავენ გარდასულ ნელთა სიავისა თუ სიკეთისა. ერთი კი ცხადია, რომ ამ ქვებზე წარწერები სათანადო მნიშვნელობით ამოუკვეთიათ და ბოლოს მტრის რისხვას ამ ზომამდე მიუყვანია.

ასეა თუ ისე ქვებმა მაინც ჩვენამდე მოაღწიეს, თუმცა დაზიანებული სახით. და ჩვენი ვალა სათანადოდ შევისწავლოთ ისინი.



სართიქალის II სამუდამო სკოლასთან კარგა ხანია ბორის ძეგლის სახელობის პიონერთა რესპუბლიკური სასახლის დავალებით და მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ძეგლის ნორჩ მკვლავთა საგუნდო „ქვაკაცა“. მკვლავთაგან დაიწყო ფუნქციონირება. მათი საქმიანობა მოსწონს უფროს თაობას.

ორი წლის წინათ ქალაქ კოროვიდან წერილი მიიღეს პიონერებმა. შრომისა და ბრძოლის ვეტერანი ალექსანდრე ილიას ძე გორევი 21 წლის „შეგარდენის“ პავლე ილიას ძე გორევის საფლავს ეძებდა. ნითელკვლის მამიებლები დატრიალდნენ. მოძებნეს და რიყის ქვებით შემოსაზღვრეს ნაშლილი სამარე. ყვავილები გაახარეს. თავის საქმიანობაზე მზრუნველ უფროს მეგობარს — სართიქალის მერძვევობა — კომპლექსის დირექტორს პატივცემულ არჩილ ჩიტაშვილს ესაუბრნენ.

გამოცდებმა ხელმძღვანელმა ყურადღებით მოუსმინა, შეუქო საქციელი, შესთავაზა რკინის ღობე შემოკვეთით. გაიხარეს ნორჩებმა, უფროსებისაგან იცოდნენ, რომ მისი საქმე და სიტყვა ერთია, ნათელმხილველივით მიუხედა გულსნაღებს, ამიტომ უყვართ იგი ბავშვებს, თავის მეგობრად თვლიან.

მისი ნყალობით სოფელში გაჩნდა ერთი ნმინდა ადგილი — ქაბუკი მფრინავი ცოცხალივით შემოგვერით. გრანტიდან ცისკენ სწრაფული თვითმფრინავითა და წარწერით „პავლე ილიას ძე გორევი — საბჭოთა მებრძოლი კომპლექსისაგან“.

ამასწინათ საოლქო ქალაქ კოროვიდან მძის საფლავის მოსაძებნებლად ალექსანდრე ილიას ძე ეწვიათ. სამხრეთული სითბო და სიყვარული შეაგებეს ნორჩებმა. აქაც თავკაცობდა პატივცემული დირექტორი.

„მზიურის მშენებლობა ნამოიწყეს ნორჩებმა სოფელში. გაპარტახებული ეზო განმინდეს. 35 ქაღარი, 10 ნაძვი, ვარდყავილები და ვაზი გაახარეს. ეზოს კუთლმონყობისათვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა არქიტექტორებმა აღმოუჩინეს დახმარება. დასვერეს ეზო, ასომეს, პასპორტი შეუდგინეს „დაზარეს“ ეკლესიას და მა-

კეტი ჩამოუტანეს, ასეთი იქნება რკონსტრუქციის შემდეგ. გაიხარეს ნორჩებმა.

საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის საიუბილეო ზემინისათვის ემზადებენ ნორჩები. გასაკეთებელი ბევრია. მოიძიეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ჩვენი სოფლიდან. მიაგნეს ლეგენდარულ პიროვნებას გიგო მათიაშვილს. გაიკვია, იგი კამოს თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი ყოფილა. ირანის რევოლუციის ბედადის პირველი და საყვარელი თანამებრძოლა. კამოსთან ერთად ბულგარეთის პასპორტით დააკავეს. ამხეც იფიქრეს ნორჩებმა. ბულგარეთის პიონერულ გაზეტს მიმართეს თხოვნით — დახმარებოდნენ: გაერკვიათ ვინ იყო ნიკოლოზ ტრაიჩევი ვისი პასპორტითაც იმალბოდა მათიაშვილი. რა კავშირი ჰქონდა რევოლუციასთან. დაუკავშირდნენ ირანის ინტორის „დიუ სპეციალისტს იქნებ გაეგოთ, კიდევ რა გაუკეთებია ირანში. შეგაროვეს მისი საქმიანობის ამსახველი ნიუნები და ჟურნალ-გაზეთები. გადაწყვიტეს გაუქმებულ ეკლესიაში სამხარეო-სასკოლო მუზეუმი მოაწყოთ.

ამ წამოწყებასაც მხარი აუბა პატ. არჩილმა — ხელშეკრულება გააფორმა, ივალდებულა ძველის სარემონტო სამუშაოების შესრულება.

ხელშეკრულების მეორე მხარე — ნითელი ეკლესიამამიებლები გულმოდგინე შრომითა და ძიებით ამართლებენ უფროსების ზრუნვას.

ამ დღეებში მათ ქალაქ ორიოლიდან პიონერი თანამოსაქმეების წერილი მიიღეს. მოუძებნიათ ხელბორკილიანი კატორღელის გიგო მათიაშვილის საფლავის ქვა, რომელიც კამომ დაადგა თანამომქმესა და თანამოსაქმეს. ის პიონერებაც ვინც მის არქივზე მუშაობდა ორიოლში. შეიტყვეს რომ ორიოლის არქივში არის მასალები და დიაფილმიც. შეამიღნენ, ნორჩებს გადმოუგზავნიან მასალებს.

არ ისვენებენ პატარები. ეკლავ ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — გიგო ნინაბრის უკვდავოფისათვის გაატარონ ღონისძიებანი. უფროსი მეგობარი მათ გვერდითაა. ეს



სართიქალის ეკლესია

Сартичальская церковь

ცოცხლებს სჭირდებათო, ჩვენი მონინება და პატივისცემა უნდა მივუძღვნათ ძველ რევოლუციონერებს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგებიც ხომ ამას გვასწავლიანო. ასე შეხმატკბილებულად აკეთებენ საერთო და საშვილიშვილო საქმეს „შამები“ და „შვილები“. — ჩვენი სოფლის ორი თაობის ადამიანები. დიახ,

მათ აბსოვთ „ვისი გორისანი“ არიან.

როცა ასეთი ურთოსულოვნებაა ალბათ არც საქმე დარჩება დაუძლეველი. „...სიყვარულს უშენებიაო“, ამბობს ხალხი, ხალხი კი ბრძენია. თაობათა მეგობრობა და სიყვარული კი ამის სანინდარია, რომ კიდევ ბევრ მანაფიქრს შეასხავენ ფრთებს ნორჩები, როცა ასეთი მეგობარი პყავთ გვერდით.



АННОТАЦИИ

И. ЦИЦИШВИЛИ

**НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КОМПЛЕКСНОЙ РЕКОНСТРУКЦИИ
СТАРЫХ РАЙОНОВ ГОРОДА ТБИЛИСИ**

Начиная с 1979 года в Тбилиси ведутся работы по комплексной реконструкции старых районов города. Завершенные участки позволяют выявить положительные стороны реконструкции, а также некоторые ошибки распределения которых необходимо учитывая большой масштаб работ ожидаемых в будущем.

Безусловно положительным является тот факт, что удалось сохранить весь старый участок города от исковой застройки, которая могла внести диссонанс, нарушить масштаб и этим лишить смысла все реконструктивные мероприятия.

Проведенные работы выявили те огромные художественные качества, которые таили старые участки города и убедили в необходимости проведения реконструктивных работ.

Одновременно отмечаются некоторые ошибки допущенные при рекон-

струкции. Такими являются: полная реставрация, без достаточных к тому оснований, крепостной стены по улице Бараташвили, облик здания в котором находится выставка детского рисунка, выпадающий из общего стиля застройки, решение фирменного магазина фруктовых вод с активной аркадой спортивной с находящимся рядом древним храмом Анчисхати и др.

При комплексной реконструкции старого города необходимо в первую очередь учитывать интересы памятников. В содружестве науки и строительства, здесь первенство принадлежит науке. Несмотря на явный успех реконструктивных мероприятий, в будущем необходимо проявить больше вдумчивости, глубокое и всестороннее изучение каждого вопроса без ненужной суеты и самовольных интерпретации.

Н. МГАЛОБЛИШВИЛИ

РЕКОНСТРУКЦИЯ УЛИЦ В СТАРЫХ КВАРТАЛАХ Г. ТБИЛИСИ

Реконструкция и реставрация старых кварталов г. Тбилиси связана со многими проблемами. Одна из таких проблем реконструкция транспортных и пешеходных магистралей с целью улучшения общей комплексной схемы транспортного движения. Во время прокладывания магистра-

лей необходимо учесть и особую колоритность этих застроек.

Улицы старого квартала, где проводятся реконструктивные работы, автор условно делит на три группы: транспортные магистрали пешеходно-торговые и характерно-живописные.

Т. КВИРКВЕЛИЯ

**К ЛОКАЛИЗАЦИИ ЦАРСКОЙ ПЛОЩАДИ («БАТОНИС МОЭДАНИ»)
В ТБИЛИСИ**

В ряде исследований ошибочно идентифицируются средневековая Царская и нынешняя Ираклиевская площади, что приводит к неточностям при ана-

лизе градостроительной структуры этой части старого Тбилиси.

Рассмотрение письменных источников и, в первую очередь, совме-

шение современной планировки с планом Тбилиси 1800 года позволили установить границы Царской площади, которая граничила с юга с территорией нынешней площадью Ираклия и ныне не существующей, т. к. она была застроена в прошлом сто-

летии. Современная же площадь Ираклия была занята жилой застройкой и образовалась лишь в начале XIX века на месте пустыни, образовавшейся в результате высыхания водоемов чичи персидского шаха Ага-Магомет-хана.

Т. КИПАРОНДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ О РЕСТАВРАЦИОННЫХ РАБОТАХ ТБИЛИССКОГО ДЕДАНИХЕ

По решению вышестоящих органов начались реставрационные работы на Тбилисском деданихе (IV—XVIII вв.).

Проектное предложение реставрации предусматривает восстановление памятника фрагментарным методом. Сильное пострадание за длительный период времени ступенчатых будут подняты на 1—1,5 метров. Это дает возможность на разных точках восприятия найти соответствующие композиции силуэта. По проекту предусмотрено консервация остатков

церкви XIII века находящихся в крепости.

Археологическая расчистка даст больше возможности лучше представить архитектурный облик остатков дворца, бани, водоема и других сооружений.

В настоящее время близится и завершению восстановления находящейся в ботаническом саду трехэтажной бани. Начались реставрационные работы на Ганджис бари и двухэтажных банях.

И. ДЗУЦОВА

РОСПИСЬ ТБИЛИССКОГО СИОНСКОГО СОБОРА СЕРЕДИНЫ XIX ВЕКА

Автор интересуется вопросом реставрации росписи Сионского храма в Тбилиси, который был многократно разрушен врагами. В XIX веке стена роспись была реставрирована пять раз, но автор касается реставрации, которая проводилась в 50-х годах XIX века русским художником Г. Гагариным и его помощником М. Н. Троицким. Реставрация проводилась быстрыми темпами (1852—

55 гг.) и привлекла внимание царской семьи, а также передового общества Грузии.

Г. Гагарин составил проект нового иконостаса, который был одобрен Императором Александром Николаевичем. Новый иконостас был освящен пять лет спустя.

28 февраля 1856 года по приказу энарха Грузии Г. Гагарин был награжден орденом св. Владимира.

И. БЕРДЗЕНИШВИЛИ

МОНЕТЫ НАЙДЕННЫЕ В ТБИЛИСИ В 1981 ГОДУ

Археологические раскопки 1981 года, проводимые историко-этнографическим музеем г. Тбилиси, выявили нумизматический материал в двух

пунктах г. Тбилиси — на улице Азизбекова и Чонкадзе.

Обнаружено десять медных монет, из которых три представляют

собой монеты Джелаль-ад-дина (1221-1231 гг.), одна — монета Ильхана Олджайту (1304-1316 гг.), одна — грузинская монета «пули» царевича Бакара (1716-1719 гг.).

Остальные четыре — русские монеты: 2 коп. 1815, 1 коп. 1903 г., 2 коп. 1915 г., 1 коп. 1915 г., а одна монета сильно повреждена и не под-

дается атрибуции.

Вышеупомянутые монеты дублируют нумизматический материал обнаруженный на территории Тбилиси.

Новое открытие свидетельствует о том, что Тбилиси являлся торговым и экономическим центром, и что в обращении были не только местные, но и монеты других государств.

У. ЧИКВИЛАДЗЕ

ЗАЩИТА ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ ДОЛГ КАЖДОГО ГРАЖДАНИНА!

В настоящее время партия и правительство уделяют много внимания многочисленным и ценным в художественном и историческом смысле памятникам Сачхерского района.

По инициативе сельсовета Гориси были восстановлены церковь, колокольня и ограда, территория церкви хорошо ухожена. Таких примеров можно привести множество,

Плодотворную работу ведут краеведческие музеи, шефские организации и районная организация Общества охраны памятников истории и культуры, но все же имеются некоторые недостатки. Ряд уникальных памятников должны быть под государственной охраной, многие памятники нуждаются в неотложной реставрации, должны быть изданы буклеты, и т. д.

А. БАЛАХАШВИЛИ

БОЛЬШЕ ВНИМАНИЯ ПАМЯТНИКАМ КУЛЬТУРЫ АДИГЕНСКОГО РАЙОНА

В своем критическом письме автор касается культурно-исторических памятников и археологических находок в Адигенском районе.

Церковь близ села Дерцели рашхидана. Из тесанных орнаментирован-

ных камней средневековой церкви построена ферма, кроме этого автор пытается сделать предметом изучения камни с надписью, обнаруженные в поселении Безали, погребения, найденные в селах Адигени и Циси.

J. TSITSISHVILI

SOME PROBLEMS OF COMPLEX RECONSTRUCTION OF THE OLD DISTRICTS OF TBILISI

The article deals with some problems of complex reconstruction of the old districts of Tbilisi.

The restoration-reconstruction of the old Tbilisi is described in it.

The author deals with the character of

works which will be carried out in future and underlines that we ought to be more careful in studying the problems thoroughly and preserve decorative looks of our old towns for the future generation.

N. MGALOBlishvili

RECONSTRUCTION OF THE STREETS IN THE OLD QUARTERS OF TBILISI

The reconstruction of old quarters of our city offers many problems to the architects. Some new difficulties have arisen in connection with the reconstruction of its thoroughfares and pedestrian roadways. Local colour of these old quar-

ters should also be taken into consideration when building new roads.

The author conventionally divides the streets under restoration into three groups: thoroughfares, pedestrian-commercial, and the picturesque streets in local colour.

T. KVIRKVELIA

THE QUESTION OF LOCALIZATION OF «KING'S SQUARE» («BATONIS MOEDANI») IN TBILISI

The careful study of historical material on the localization of the present Erekle Square with the present Erekle Square the author submits mistakable. The false inference leads to some inaccuracy while analysing the structure of the Old Tbilisi quarters.

The careful study of historical material and collections of old pictures, photoes

and the 19th century maps, resulted in establishing the bounds of the King's Square. Thus the author has arrived at the following conclusion: Erekle Square came to being in the 19th century in the place of former land left from the times of the Persian Shah - Aga-Mohammed-Khan and his invasions.

T. KIPAROIDZE

SEVERAL PROBLEMS OF RESTORATION WORKS ON TBILISI DEDATSIKHE

According to the decision of the authorities restoration works on Tbilisi Dedatsikhe have begun.

The project statement of restoration deals with the restoring of the monument by fragmentary method.

The project deals with the refirming and conservation of the XIII-icth century church remains.

ration will be carried out.

At the present moment the restoration of a three-storied tower in the Botanical gardens is finished and that of a two-storied tower has just begun.

I. DZUTSOVA

WALL-PAINTINGS OF SIONI TEMPLE IN THE FIFTIES OF THE 19th CENTURY

The article deals with the restoration of some wall-paintings in the Sioni Temple, which was carried out by the Russian painter G. Gagarin and his assistant M. Trushchinski in the fifties of the 19th century.

econostasis which was approved by Emperor Alexander I and hence conserted in 1861.

The restorational work took only three years under the close attention of the Royal family as well as that of the whole progressive Georgian society.

G. Gagarin made the project of the new

N. BERDZENISHVILI

COINS FOUND IN TBILISI IN 1981

An archaeological expedition of Tbilisi Historico-Ethnographical Museum exposed numismatic material on Azizbekova and Chonkadze streets.

King Bakar's coin, others are of Russian and foreign origin.

On the basis of the analysis of the numismatic material the author assumes that Tbilisi was an economic and commercial centre where not only local, but foreign coins were circulated as well.

All in all ten coins were discovered belonging to the Early, Middle and Late Feudal periods. Only one is Georgian,

U. CHIKVILADZE

PRESERVATION OF CULTURAL MONUMENTS IS EVERY CITIZEN'S DUTY

Nowadays our Communist Party and Government pay much attention to the numerous and significant monuments of culture of Sachkhere region.

field of restoration, strengthening and preservation of our cultural monuments.

Some shortcomings are also outlined in the article: there is certain lack of guide-books, some unique monuments should come under the Government protection.

The paper reports on the fruitful and charitable work that the district committee, the patron organizations, the museums of regional studies carry out in the



In his critical remarks the author deals with the cultural monuments and casual archaeological finds of Adigheni region. He tries to make the subject of thorough study the 14th-16th century church in the

village of Ude, some ancient stone inscriptions in Asomtavruli from the village of Bazali, and some sepulchrais, exposed in the village of Tskisi and Adigeni.

კრებულ „ჭავჭავის მკვლევარის მესამე ნომერში დაბეჭდილია ს. ლევანის წერილი რამდენიმე ხუროთმოძღვრების შესახებ (გვ. 75-82). ილუსტრაციებში სოფლების დასახელება უნდა იკითხებოდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ბაზა, სორი; ლაღიში; პატარა თნი, სორი; ქველია და ა. შ.



სარედაქციო კომისია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მპ
მდივანი), ოთარ თაყთაიშვილი, ირაკლი ჯაფარიანი, ნიკო ქაცორაძე,
ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მანაგაძე, ოთარ სანუბლიძე, თენგიზ შარაძე, ასირანი
ჩიბაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციცუშვილი
რედაქტორი — ოთარ სანუბლიძე

Редактор серии **Иракий Цицшвили**
Редактор **Отар Санублидзе**

გ ა მ მ ღ ი ს ს ა ზ მ გ ა ლ მ ა რ ი ს ს ა წ ე ი ს ე ა ზ ა

გარიგანის ავტორი ზია მგალობლიშვილი
Автор обложки **Гия Мгалоблишвили**

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

Серия: Памятники материальной культуры
Выходит на общественных началах



«ДЗЕГЛИС МЕГОБАРЬ»

(друзья памятников культуры)
Сборник шестьдесят первый
(на грузинском языке)

გადაცემა წარმოებას 20. VIII. 82 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 8. XII. 82 წ., ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,5. სააღრ.-სავაჭრომცემლო თაბახი 5. ანაწყოების ზომა 7×11,5, ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆, რედაქციის მისამართი: შავთელის ქ. №5/7, ტელ. 93-56-14.

ფასი 1 ზაბ.

Цена 1 руб.

უე 00569

ტირაჟი 3.000

შეკვ. 2043

საქართველოს კვ. ცენტრის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, № 14.

ՀԵՐԱՅԻՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

272

